CIAN MAGENTA YALLOW BLACK

ალია

N62 (3378) 3-7 ივნისი 2016 წ

PRESS

ფასი 50 თეთრი

ორშაბათი ალია | ოთხშაბათი ალია | ხუთშაბათი ალია | პარასკევი ალია

„ძალაუფლება რყვნის, აბსოლუტური ძალაუფლება რყვნის აბსოლუტურად!!!“
ლორდი ექტონი 1877 წელი

WWW.ALIA.GE

გამოდის 1995 წლიდან

„POZOR! წინ აქსისია!“

4

„თეთრსაყელოიანი მენეჯერების“ ცრუ დაპირებების სერია გრძელდება!

სანდრო ბრეგაძე: „გიგა ბოკერიამ მასტერკლასი ჩაუტარა ხელისუფლებას... კურდღელივით ისე შეაშინა, საზოგადოებას სასაცილოდ ჰყავს აგდებული...“

3

გია კორკოტაშვილი: „ივანიშვილი ახლა გვპირდება, რომ 10-14 წელიწადში კარგად ვიქნებითო და 2030 წელს რა დარჩება საქართველოდან, კაციშვილმა არ იცის“

6

რა ძვირფასი ნივთი „აორთქლდა“ თბილისის ერთ-ერთი ცენტრალური მუზეუმიდან?

5

ვინ მფარველობს „სტაიანშიკებს“ და ვის ჯიბეში მიდის 5 მილიონი?

8

რატომ გადაწყვიტა თავდაცვამ სამხედრო-საჰაერო ძალების აღდგენა და რას მოაკლდება მისი შესანახი ფული?

7

აი, ხომ ვამბობდით — კორცხელის გამო ახალგაზრდები ისვენებიან, დასასვენელები კი არხეინად არიან და ხარობენ

კორცხელში საარჩევნო უბანთან მომხარ ინცინდენტთან დაკავშირებით, 2016 წლის 22 მაისს შსს-ს სამეგრელო-ზემო სვანეთის პოლიციის დეპარტამენტში გამოძიება საქართველოს სსკ-ის 125-ე მუხლის პირველი ნაწილით დაიწყო.

აღნიშნულ სისხლის სამართლის საქმეზე, 2016 წლის 24 მაისს, შინაგან საქმეთა სამინისტროში ნებაყოფლობით გამოცხადდა ინცინდენტში მონაწილე 6 პირი, რომლებიც მოწმის სახით გამოიკითხნენ. გამოძიების მსვლელობისას ასევე გამოიკითხა ინციდენტის მონაწილე მეორე მხარეც. დაინიშნა სასამართლო-სამედიცინო და ფიზიო-ტექნიკური ექსპერტიზები.

ზემოაღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით, 2016 წლის 1-ელ ივნისს, ინციდენტში მონაწილე 5 პირს: გიორგი გ.-ს, კობა ტ.-ს, გიორგი გ.-ს, ნოშრევან წ.-ს და გრიგოლ ტ.-ს ბრალი საქართველოს სსკ-ის 239-ე მუხლის მეორე ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით წარედგინათ. აღნიშნული მუხლი გულისხმობს წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ ჩადენილ ხულიგნობას, რაც ისჯება ჯარიმით, ან საზოგადოებრივად სასარგებლო შრომით, ვადით ასოთხმოციდან ორას საათამდე, ან გამასწორებული სამუშაოთი, ვადით ერთიდან ორ წლამდე, ანდა თავისუფლების აღკვეთით, ვადით ორიდან ხუთ წლამდე.

ვლადიმერ გ.-ს ბრალი წარედგინა საქართველოს სსკ-ს 239-ე მუხლის მეორე და მესამე ნაწილებით. 239 მუხლის მესამე ნაწილი გულისხმობს იმას, რომ ხულიგნობა ჩადენილია ცეცხლსასროლი იარაღის, ან იარაღად სხვა საგნის გამოყენებით. ასეთი ქმედება, თანახმად საქართველოს სსკ-ის 239-ე მუხლის მე-3 ნაწილისა, ისჯება თავისუფლების აღკვეთით, ვადით ოთხიდან შვიდ წლამდე. (pia.ge)

● როცა ეს ამბავი მოხდა, ვწერდი, რომ დაისჯებოდნენ ახალგაზრდები (რომლებიც ჰო, სასტიკად გაუსწორდნენ „ნაციონალურ მოძრაობას“), ხოლო ვინც რეალურად დამნაშავეა, ის ფონს იოლად გააღწევდა. დამნაშავე კი დიახაც, „ქართული ოცნებაა“, რომელმაც არ შეასრულა უმთავრესი დაპირება და სამართლიანობის აღდგენისთვის ერთი ადგილი არ გაანძრია...

და ის, რომ მხოლოდ ახალგაზრდები ისჯებიან, კიდევ ერთ მაგალითსაც მოგიყვანთ — თინა ხიდაშელმა გვახარა, რომ სამხედრო, რომელიც კორცხელის დაპირისპირებაში მონაწილეობდა, შეიარაღებული ძალებიდან დაითხოვეს.

ეს რა არის, ბატონო ამერიკის ელჩო, ავჯანყებისჯენ მოუწოდებთ საქართველოს მოქალაქეებს?!

საქართველოში აშშ-ის ელჩი იან კელი „რუსთავი 2“-ის სასამართლო პროცესს ეხმაურება.

– მინდა „რუსთავი 2“-თან დაკავშირებით მიმდინარე პროცესები ამერიკულ და ქართულ კონტექსტში განვიხილო. მინდა აღვნიშნო, რომ ასეთი სასამართლო პროცესები, რომელიც წამყვან, ოპოზიციურად განწყობილ მედიასაშუალებასთან დაკავშირებით მიმდინარეობს ამერიკაში რომ მომხდარიყო საარჩევნო წელს და ახლა საარჩევნო წელია საქართველოში, ამ პროცესების შედეგად კი საფრთხის ქვეშ დგებოდეს ტელევიზიის მენეჯმენტისა და მფლობელების საკითხი, ამერიკული მხარე ამ პროცესების მიმართ არ იქნებოდა ტოლერანტული. სწორედ ამიტომ მინდა ნათლად ვთქვა, რომ იმ შემთხვევაში, თუ შესაძლებელია, რომ ამ პროცესების შედეგად შეიცვალოს ტელევიზიის მესაკუთრეები და მენეჯმენტი, ქართველებმა ეს არ უნდა მოითმინონ და ამ საკითხის მიმართ არ შეიძლება ტოლერანტული მიდგომა, - განაცხადა იან კელიმ. (ნიუპოსტი)

● აბა, რა უნდა თქვა ახლა იან კელის ამ განცხადებაზე? პირი ქვისკენ მიქნია და ნუთუ „აშუშუს“ ელჩი საქართველოს მოქალაქეებს აჯანყებისკენ მოუწოდებს?!

ევროკავშირმა საქართველოსთვის სავიზო რეჟიმის გამარტივების პროცესი გადადო

ევროკავშირის წევრმა ქვეყნებმა საქართველოს მოქალაქეებისთვის სავიზო რეჟიმის გამარტივების პროცედურების მიღება გადადეს.

აღნიშნულ ინფორმაციას ბრიუსელიდან ევროკავშირის წარმომადგენლებზე დაყრდნობით სააგენტო „როიტერი“ ავრცელებს.

სააგენტოს ინფორმაციით, ევროპაში არალეგალური მიგრაციის ზრდის ფონზე სავიზო რეჟიმის გადადება ასევე ემუქრება თურქეთს, უკრაინასა და კოსოვოს.

– ბრიუსელში ევროკავშირის ელჩებმა განიხილეს საქართველოსთვის უვიზო რეჟიმის მინიჭების საკითხი, მაგრამ საფრანგეთისა და გერმანიის წინააღმდეგობის გამო, გადაწყვეტილება ვერ მიიღეს. აღნიშნულ საკითხს ევროკავშირის წარმომადგენლები სავარაუდოდ 14 ივნისს, უკრაინის საკითხის განხილვის დროს მიუბრუნდებიან, - წერს „როიტერი“.

სააგენტოს ინფორმაციით, ერთ-ერთი ევროპელი დიპლომატის თქმით, საუბარია არა პროცესის სრულად შეჩერებაზე, არამედ სიფრთხილის გამოჩენაზე. (pia.ge)

მოქალაქე ბიძინა ივანიშვილი: „ასეთი ვარ, როგორიც ვარ“

პირველად იყო წერილი და წერილის მერე იყო სატელევიზიო ინტერვიუ, რომელმაც კაი გემრიელი მითქმა-მოთქმა გამოიწვია.

ძალიან ბევრ თემას შეეხო ყოფილი პრემიერი, თუმცა დასაწყისშივე თქვა — „მე ვარ მოქალაქე და ვარ ასეთი, როგორიც ვარ“.

ისე, მაგარია, ალბათ, როცა მოქალაქეს იმხელა ძალაუფლება აქვს, რომ შეუძლია, ვთქვათ, პრემიერი გადააყენოს, პარლამენტარები მიჭირხვნოს, შეუნდოს იმას, ვისაც თავის დროზე არც ისე ცოტა დანაშაული აქვს ჩადენილი და ასე შემდეგ და ასე შემდეგ. ჰო, კიდევ ესეც — აღფრთოვანებული იყოს საკუთარი თავით და ამბობდეს: ნახეთ, რა კარგად გპასუხობთ, უპრეცედენტო რამ მოვახდინე მსოფლიოს მასშტაბით...

„პრემიერის ცვლილებაში მონაწილეობა მქონდა, მაგრამ არა ისე, რომ ვიღაცას ჯარით და პოლიციით ვაწვებოდი. შეიძლება მე ვაძლევდი რჩევას, რომელიც გაითვალისწინეს, მაგრამ შეეძლოთ, არ გაეთვალისწინებინათ.

რა, ირაკლი ღარიბაშვილი მე ძალით გადავაყენე, თქვენ გგონიათ? მე ვმონაწილეობდი და მას ჰქონდა კონსულტაციები ჩემთან... ყოფილი პრემიერი ირაკლი ღარიბაშვილი ქვეყანას კარგად მართავდა“.

აბა, ჯარი და პოლიცია რად

უნდოდა ღარიბაშვილის გადაყენებას? ეტყობა, ყველამ გადასარევად იცის, რომ თქვენს გადაკიდებას, სჯობს, რიყის ქვით სავსე ტომარა გადაიკიდოს და ისე იაროს დუნიაზე.

ისე, თუ კარგად მართავდა ქვეყანას, რატომ გადადგა ან რატომ მიიღეთ მონაწილეობა პრემიერის ცვლილებაში, გაფიცებთ ყველაფერს?

„უპრეცედენტო რამ შევქმენი ქვეყანაში, სადაც არავის წასვლა აღარ უნდა, როცა მოდის. უპრეცედენტო რამ მოხდა მსოფლიოში და ამაზე არავინ აქცენტს არ აკეთებს, როგორ მოხდა, რომ მოვედი, გადავალაგე როგორც ვთქვი და ზუსტად იმ დროის შუალედში, რაც ვთქვი, გადავდექი ჩემი სურვილით, ხელისუფლების ზენიტში მყოფი პიროვნება“.

ზენიტში ყოფნას არც ახლა უნდა უჩიოდეთ, ბატონო ბიძინა, აკი თავად ამბობთ, რომ პრემიერის ცვლილების პროცესშიც კი ვმონაწილეობდიო და ამაზე მეტი ზენიტი რაღა უნდა იყოს?

„შავგულიძემ იკადრა და პოლიტპატიმრად დაასახელა გიგი უგულავა, რომელიც არის ძირითადი გუნდის ერთ-ერთი წარმომადგენელი. დარწმუნებული ვარ, სააკაშვილიც პატიმარი რომ ყოფილიყო, მასაც პოლიტპატიმრად დაასახელებდა...

ზეწოლა მურუსიძეზე მოდიოდა „ნაციონალური მოძრაობისგან“, მათგან მართული მედიისა და ენეჯეობისგან, მან მოახერხა და თავი დააღწია „ნაციონალური მოძრაობის“ ზეწოლას. სწორედ ეს აღიზიანებს „ნაციონალურ მოძრაობას“.

აი, თქვენ თავად როგორ კადრულობთ, რომ თუნდაც მურუსიძეს „აპრავებთ“, ბატონო ბიძინა?

მასე ვაშაძემაც „დაიძვრინა თავი“ „ნაცმოძრაობისგან“, ხაჩიძემ, კუბლაშვილმა და მოდი, დავივიწყოთ ყველაფერი, ფეხებზე დავიკიდოთ და დავნიშნოთ მაღალ თანამდებობებზე, რა პრობლემაა? სადაც პრემიერის შეცვლის პროცესში შეგიძლიათ მონაწილეობის მიღება, არც ეს იქნება ალბათ, დაბრკოლება. თუმცა ამბობთ — ძალაუფლება არ მაქვსო:

„ჩემი ძალაუფლება მხოლოდ ისაა, რომ ხალხი მენდობა და ხალხს აქვს ჩემზე დამოკიდებულება როგორც აქვს და ჩემს სიტყვას აქვს ფასი. ჩემი ძალაუფლება გახლავთ მხოლოდ ხალხის ნდობა და სანამ ამას ვგრძნობ, ვალდებული ვარ, ამ ხალხს ვემსახურო“.

თავადაც არ გიყვართ საკუთარ ქველმოქმედებაზე საუბარი და გადავდოთ ეს თემა. ჰოდა, აბა, დანარჩენი რაში ემსახურეთ ხალხს? ის, რომ „ნაციონალური მოძრაობა“ აღარ არის ქვეყნის სათავეში, ეს შედეგი ისევ ხალხის დახმარებით დადეთ, შემდეგ კი დაიხურეთ ქუდი და წახვედით და დატოვეთ გუნდი, რომელმაც პირდაპირ უნდა ითქვას — ჩაისვარა!..

სხვა კიდევ ბევრ საკამათო რამეზე ისაუბრა ყოფილმა პრემიერმა და ამ თემაზე „ყოველკვირეულ ალიაში“ უფრო ვრცლად ვისაუბრებთ.

დღევანდელი მთავრობის ბევრ წევრს დროშა ეჭირა ხელში და „მიშა, მიშას“ გაიძახოდა - პაატა ბურჭულაძე

მოძრაობა „სახელმწიფო ხალხისთვის“ პაატა ბურჭულაძე ხელისუფლებაზე საუბრობს. ბურჭულაძის განცხადებით, „დღევანდელი მთავრობის ბევრ წევრს დროშა ეჭირა ხელში და „მიშა, მიშას“ გაიძახოდა. მისივე განცხადებით, იგი 2011 წლიდან ბიძინა ივანიშვილის გვერდით იდგა:

– 2011 წლიდან ივანიშვილის გვერდით ვიდექი, რომ ყველაფერი შეგვეცვალა. „ნაციონალური მოძრაობის“ დროს მე ვიყავი ჩემი ქვეყნის სამსახურში. ვერავინ მოისმენდა ჩემი მხრიდან ყოფილი ხელისუფლების ქებას. მქონდა კრიტიკა, ეს კრიტიკა იყო, რომ მე ვაკეთებდი სახელმწიფოს საქმეს. იმ ცხრა წელმა გამომაცხადა ქვეყნის მოღალატედ იმიტომ, რომ მოსკოვში ჩავედი და ავადმყოფ ბავშვებს დავეხმარე. იმ ცხრა წლის განმავლობაში გარდა იმისა, რომ ვეხმარებოდი ადამიანებს, საქართველოს სახელი გამქონდა საზღვარგარეთ და მგონი, არც თუ ისე ცუდად. დღევანდელი მთავრობის ბევრ წევრს დროშა ეჭირა ხელში და „მიშა, მიშას“ გაიძახოდა, - აცხადებს პაატა ბურჭულაძე. (ნიუპოსტი)

● საერთოდ არაფერი იცვლება ამ ოხერ ქართულ პოლიტიკაში — ძველი იქნება თუ ახალი, თითს სხვისკენ იშვერს — აი, ის რომ ჩათლახობდა, მე კრისტალივით სუფთა ვარო. კარგით, რა, კაცო, მორჩით ამ ბრალდებებს, თითის გაშვერებს და საქმე გააკეთეთ, თუ შეგიძლიათ, თუ არა და არავინ გახევთ კალთებს — სადაც აქამდე იყავით, ისევ იქ დარჩით!..

ნინო ლაგარტყავა
571 99-92-33

სანდრო ბრეგაძე: „გიგა ბოკერიამ მასტერკლასი ჩაუტარა ხელისუფლებას... კურდღელივით ისე შეაშინა, საზოგადოებას სასაცილოდ ჰყავს აგდებული...“

შინაგან საქმეთა სამინისტრომ კორცხელში მომხდარ ინციდენტში მონაწილე ექვს პირს ბრალი წაუყენა. ფაქტს „ფეისბუკის“ საკუთარ გვერდზე მოძრაობა „ეროვნულების“ ლიდერი სანდრო ბრეგაძე საგანგებო განცხადებით გამოეხმაურა:

„საქართველოში ხდება გაუგონარი უსამართლობა. „ნაციონალური მოძრაობის“ მიერ კორცხელში განხორციელებული პროვოკაციის გამო, ახალგაზრდა სპორტსმენებს წარედგინათ ბრალი, მათ ემუქრებათ 7 წლამდე პატიმრობა მხოლოდ იმის გამო, რომ დაიცვეს თავისი ღირსება და გაუგონარ შეურაცხყოფაზე უპასუხეს პროვოკატორებს. „ნაციონალური მოძრაობა“ გამარჯვებას ზეიმობს და სულმოუთქმელად ელოდება ქართველი ვაჟკაცების დაპატიმრებას. საზოგადოება, ხელისუფლება, სამართალდამცავები უცხო ქვეყნიდან წარგზავნილი სააკაშვილის ლობისტების გავლენის ქვეშ მოექცნენ და, ფაქტობრივად, ეს ახალგაზრდები გაწირეს, მაშინ, როდესაც პარლამენტში სხედან „ნაცმოძრაობის“ წევრები, რომელთა დანაშაულებრივ საქმიანობაზე წლებია, დევს მასალები და ამ მასალებს არავინ იკვლევს. გაუგონარი უსამართლობაა, რომ ახალგაზრდა ადამიანებს მიუსაჯონ 7-წლიანი პატიმრობა მხოლოდ იმის გულისთვის, რომ დედის გინებაზე პასუხი გასცეს პროვოკატორებს. ეს გახლავთ დასასრულის დასაწყისი, რომელსაც ახორციელებენ ხელისუფლებაში ჩანერგილი „ნაცმოძრაობისგან“ ფარულად კონტროლირებადი პირები. ხელისუფლება შეშინებულია. მივმართავ პრემიერ კვირიკაშვილს, რომ მან, როგორც პარტია „ქართული ოცნების“ თავმჯდომარემ, აიღოს პასუხისმგებლობა თავისი პარტიის წევრების ქმედებაზე, არ შეაწმინდოს ხელი პარტიის რიგით წევრებს, იმათ, ვინც თავად, როგორც პარტიის ლიდერმა, მიავლინა არჩევნების დასაკვირვებლად კორცხელში... თუ ეს ახალგაზრდები 7 წლით ციხეში გამოკეტეს, მაშინ „ნაცმოძრაობის“ რევანში გარდაუვალია და ყოველივეს ხელშემწყობები აღმოჩნდებიან ისინი, ვინც გაწირა ის ხალხი, რომლებიც უსამართლობისა და პროვოკაციის მსხვერპლნი არიან!“

„ალიას“ სანდრო ბრეგაძე ესაუბრა:

– შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ ახალგაზრდებისთვის ასეთი ბრალის წაყენება არის აბსოლუტურად მიუღებელი. ეს არის ჩვეულებრივი ადმინისტრაციული სამართალდარღვევა, რომლის გამოც, პირველ რიგში, პასუხი უნდა აგონ „ნაციონალური მოძრაობის“ ლიდერებმა, რომლებმაც პროვოცირება გაუკეთეს ყოველივე ამას. როგორც თვითმხილველები მეუბნებიან, იმ დღეს კორცხელში, „ქართული ოცნების“ აქტივისტების ჯგუფთან, გაჩერდა მანქანა, საიდანაც გადმოვიდა ბატონი ნიკა მელია, რომელსაც გიგა ბოკერია ახლდა და ნიკა მელიამ პირდაპირ ასე თქვა, – ვინც 41 შემოხაზეთ, თქვენი დედებიო. ჩვენ საქართველოში ვცხოვრობთ და ყველამ ვიცით, რომ დედის შეგინებას აუცილებლად მოჰყვება მუშტი. „ნაცმოძრაობამ“ რომ მთელი მსოფლიო, საელჩოები ააწრიალა, ხელისუფლებაზე მიიტანეს იერიში, გინდა თუ არა, ეს ახალგაზრდები დააპატიმრეთო. ხელისუფლება კი, კურდღელივით შეშინდა და უდანაშაულო ახალგაზრდები, რომლებმაც მოძალადეებს დედის გინებაზე პასუხი გასცეს, ფაქტობრივად, დააპატიმრა. გაუგონარი რამ ხდება და ეს ყველაფერი აღშფოთების ზღვარს იქითაა: ხელისუფლებამ, რომელმაც 5 წელი მიუსაჯა ვანო მერაბიშვილს და 6-6 წელი მიუსაჯა ციხის ჯალათებს, ჭაკუებს, „ქილერებს“ და დანარჩენებს, ადამიანებს, რომლებიც მამაკაცებს აუპატიურებდნენ – ამ ახალგაზრდებს შვიდწლიანი მუხლით აქვთ ბრალი წაყენებული, წარმოგიდგენიათ?! ესენი არიან მშიშრები, რომლებსაც საკუთარი ლანდისაც კი ეშინიათ! მშიშრები იცით, კიდევ რატომ არიან? დღევანდელი ხელისუფლების პირველი პირები (ყველაზე ამას ვერ ვიტყვი, მაგრამ უმეტესობა) „ნაციონალური მოძრაობის“ საწინააღმდეგო ერთ მიტინგზეც კი არ ყოფილან და არასოდეს ერთი აუგიც კი არ უთქვამთ ამ პარტიაზე. „ქართულ ოცნებაში“ ახალი სახეები რომ მოიყვანეს ახლა, ეს ადამიანები მხართეძოზე იყვნენ წამოწოლილები მთელი ამდენი ხნის განმავლობაში. გიგა ბოკერიამ მასტერკლასი ჩაუტარა ხელისუფლებას – ჯერ პროვოკაციაზე წამოაგო, შემდეგ კი მთელი ქვეყნის დასანახად, კურდღელივით ისე შეაშინა, მთელ საზოგადოებას სასაცილოდ ჰყავს აგდებული ხელისუფლება, საზოგადოების მეორე ნაწილი კი ფიქრობს, თუ ხელისუფლებას ეშინია „ნაციონალური მოძრაობის“, ესე იგი, მეც უნდა მეშინოდესო და ეს ადამიანებიც შეშინებულ მდგომარეობაში არიან ამათი შემხედვარე. თქვენ როგორ წარმოგიდგენიათ, ხვალ და ზეგ „ნაცმოძრაობა“ ყირაზე რომ გადავიდეს, ვინმე არის მათთვის პასუხის გამცემი? რა თქმა უნდა, არავინ და ეს ხელისუფლებას ბუმერანგივით შემოუბრუნდება.

— ხელისუფლება შეშინებულიაო, ამბობთ. ამხელა ძალაუფლება აქვთ, ყველა სახელმწიფო უწყება, ყველა ბერკეტი მათ ხელშია და რა ჯანდაბის ეშინიათ ასე?

– ერთი მხრივ, მაზოხიზმი მგონია, რომ ხელისუფლებას სიამოვნებს, „ნაციონალები“ რომ სტანჯავენ, მეორე მხრივ, ვფიქრობ, მათთან საკმაოდ ბევრი ისეთი ადამიანია ჩანერგილი, რომლებიც თავის დროზე გარკვეული კომპრომატებით ჰყავს ყურებით დაჭერილი „ნაციონალურ მოძრაობას“ და ეს ადამიანები ახორციელებენ იმას, რასაც მათი დამშანტაჟებლები ეტყვიან. ასეა თუ ისე, ფაქტი ფაქტად რჩება: დღეს ჩვენ სახეზე გვაქვს იმ ტიპის მოვლენები, როგორსაც ადგილი ჰქონდა 2003 წლის „ვარდების რევოლუციის“ წინა პერიოდში, ზუსტად ასე თავხედურად იქცეოდა მაშინაც „ნაცმოძრაობა“, ზუსტად ესევე აპატიმრებინებდა უცხოელების მეშვეობით იმდროინდელი ხელისუფლების მომხრეებს, თავის მომხრეებსაც და ა.შ. დღეს ხელისუფლებაში მყოფი ის თვითკმაყოფილი ადამიანები, რომლებსაც თავში ტუზივით დაეცათ მინისტრობა, მინისტრის მოადგილეობა, პარლამენტარობა თუ სხვა პოსტები, არიან სირაქლემას პოზაში, ზოგი შეგნებულად იბრმავებს თვალებს და აცხადებს, რომ არაფერი ისეთიც არ ხდებაო. არაფერი კი არა, მზადება მიმდინარეობს ამ ქვეყნის დასანგრევად და ეს პროცესი უკვე დაწყებულია ოდესაში მოკალათებული გუბერნატორის, სააკაშვილის მიერ.

— პარლამენტში სხედან „ნაციონალური მოძრაობის“ ის წევრები, რომელთა დანაშაულებრივ საქმიანობაზე წლებია, მასალები დევსო, აცხადებთ. გარკვეული პერიოდის განმავლობაში, თქვენ სახელმწიფო მინისტრის მოადგილე ბრძანდებოდით და რამე გააკეთეთ იმისთვის, რომ ეს ადამიანები პასუხისგებაში მიცემულიყვნენ?

– როდესაც მინისტრის მოადგილე ვიყავი, მქონდა დაზუსტებული ინფორმაციები ბევრ თანამშრომელზე, რომლებიც „ნაციონალური მოძრაობის“ დროს მუშაობდნენ იქ და რომლებიც ქართული დიასპორის წარმომადგენლებს პირდაპირ მუქარით უთვლიდნენ, რომ თუკი ისინი მხარს არ დაუჭერდნენ „ნაცმოძრაობას“, საქართველოში მყოფ მათი ოჯახის წევრებს, შვილებს დააპატიმრებდნენ, პრობლემებს შეუქმნიდნენ და ა.შ. მინისტრსაც არაერთხელ ვუთხარი, რომ ამ ადამიანებმა პასუხი უნდა აგონ და იცით, პასუხად რა მივიღე? მე რომ სამინისტროდან წამოვედი, ეს ადამიანები დააწინაურეს... კიდევ უამრავ ფაქტს გეტყვით, მაგრამ ერთი სტატია არ ეყოფა ამას...

ბიჭების დაკავებას მივუბრუნდეთ. საქმე რაშია იცით? მე გიორგი კვირიკაშვილს მივმართე, რომ კარგი, დავუშვათ, „ოცნების“ აქტივისტებმა მართლაც ჩაიდინეს დანაშაული კორცხელში, ვინ მიავლინა ისინი იქ? პარტიის თავმჯდომარემ და თავმჯდომარე ვინ არის? – გიორგი კვირიკაშვილი, რომელიც ამ დროს ხელებს კალაძესავით იბანს, თითქოსდა, ის არაფერ შუაშია. თუ ამ ახალგაზრდებს რაიმე პასუხისმგებლობა აქვთ, მაშინ მათმა ხელმძღვანელებმაც უნდა აგონ პასუხი!

— „ეს გახლავთ დასასრულის დასაწყისი, რომელსაც ახორციელებენ ხელისუფლებაში ჩანერგილი ნაცმოძრაობისგან ფარულად კონტროლირებადი პირები“ — ამ განცხადებაში „თბილისურ მაიდანს“ გულისხმობდით?

– რა თქმა უნდა, ეს არის დასასრულის დასაწყისი. მოდით, ესეც ვთქვათ: პრემიერ-მინისტრი იმაზეც ხომ უნდა დაფიქრდეს, როგორი სიტყვებით ელაპარაკება ნიკა გვარამია? გვარამია და ბოკერია მას უკვე ზემოდან ქვემოთ უყურებენ და ეს ყველაფერი იმიტომ ხდება, რომ ერთხელ უკუსვლის რეჟიმში იარა, ორჯერ, სამჯერ, თავისიანები გაწირა, ვიღაცებს უთმობს, უთმობს და ამის შედეგია ეს ყველაფერი. გვარამია რომ ეტყვის ქვეყნის პრემიერ-მინისტრს, მოდი ახლა, ჩემი პენისი გაზომეო, ეს ხომ შეურაცხმყოფელია? და ამ შეურაცხყოფას ყოველთვის მოგაყენებენ, როდესაც შენ შეშინდები და შეშინებულ ხელისუფლებას უარესს დამართებენ! პირდაპირ გეტყვით: მე თავს ვთვლი ბიძინა ივანიშვილის იდეების ერთგულ ადამიანად და მე დღეს უკვე ვხედავ, რომ 4-5 ადამიანს (და არ მინდა ახლა მათი სახელ-გვარების თქმა) ალყა აქვთ მის ირგვლივ, საინფორმაციო ვაკუუმი აქვთ შექმნილი და ეს ადამიანები მაქსიმალურად ცდილობენ, ნორმალური ინფორმაციები არ მივიდეს ბატონ ივანიშვილამდე, ეს ცალსახაა და ამას მარტო მე არ ვამბობ.

— ვაკუუმი გასაგებია, მაგრამ ივანიშვილს ტელევიზორი მაინც არ აქვს, კაცო, სახლში, ან კომპიუტერი არა აქვს, ან პრესას მაინც არ კითხულობს, რომ რაღაცები თავისით ნახოს, წაიკითხოს და რეალური ამბების საქმის კურსში ყველასგან დამოუკიდებლად იყოს?

– არაერთ ხელისუფალს გაუვლია ჩემს ხელში და მინახავს, როგორ ინფორმაციულ ვაკუუმში აქცევდნენ მას, რაც შემდგომში ქმნიდა სწორედ ხელისუფლების დამხობის საშიშროებას. ხოლო შემდგომში, ვინც ამ დიდ ადამიანებს ინფორმაციულ ვაკუუმში ათავსებდა, ისინი გარბოდნენ. საქართველოს უახლესი წარსულიდან გამომდინარე, მე ვიცი, როგორ ხდება ინფორმაციული ვაკუუმის შექმნა. თქვენ სწორად აღნიშნეთ, როგორ შეიძლება ბატონ ბიძინას ელემენტარულად ტელევიზორი არ ჰქონდესო, მაგრამ, როდესაც შენი გარემოცვა აბსოლუტურად არაადეკვატურ ინფორმაციებს გაწვდის, რა თქმა უნდა, ძნელია, ცალკეულ მოვლენებთან დაკავშირებით ისეთი დასკვნების გამოტანა, როგორიც საჭიროა. ხშირ შემთხვევაში, გარემოცვაში ისეთი ახლობელი ადამიანები არიან, რომ ვერც კი წარმოიდგენ, ისინი ასე იქცეოდნენ, მაგრამ შემდგომში დგება მომენტი, როდესაც ხვდები, რომ, სამწუხაროდ, მზაკვრობას, შურსა და გაუტანლობას საზღვარი არ აქვს.

— იმდენჯერ ახსენეთ „შეშინებული ხელისუფლება“, რომ ლოგიკურად მიჩნდება კითხვა: რაში გვჭირდება საერთოდ ასეთი მშიშარა ხელისუფლება, რომელიც საკუთარ ხალხს არ უსმენს?

– არ ვიცი... მე მაგალითად ვიცი, ვიცოდი და ყოველთვის მეცოდინება, რომ ირაკლი ღარიბაშვილი არასდროს არ შეშინდებოდა „ნაციონალური მოძრაობის“ წინაშე, რომელთა ნომერ პირველი ამოცანა სწორედ ის იყო, რომ 2016 არჩევნებამდე ღარიბაშვილი აღარ ყოფილიყო ქვეყნის პირველი პირი. არ მინდა ვინმეს შეურაცხყოფა მივაყენო, მაგრამ, როდესაც შიშია დასადგურებული ხელისუფლებაში, რა თქმა უნდა, ის უკუსვლის რეჟიმშია. რაში გვჭირდება ასეთი ხელისუფლება? ამაზე ვერაფერს გეტყვით, თუმცა ვფიქრობ, რომ ხელისუფლებას გაკეთილშობილება, ბრძოლისუნარიანი, პატრიოტი, უკანდაუხეველი ადამიანების ერთობა სჭირდება, რომლებიც არათუ შეუშინდებიან „ნაციონალურ მოძრაობას“ და მათ უცხოელ ლობისტებს, არამედ პირიქით, საკადრის პასუხს გასცემენ და თეთრზე ეტყვიან, რომ თეთრია და შავზე – შავიაო. აი, ასეთი ხალხით უნდა იყოს ხელისუფლება დაკომპლექტებული და არა ისეთი ადამიანებით, რომლებიც ერთს ამბობენ და მეორეს აკეთებენ, რაც, საბოლოო ჯამში, ქვეყნისთვის დამღუპველია.

D ნინო ლაბარტყავა
571 99-92-33

„POZOR! წინ აქსისია!“

„თეთრსაყელოიანი მენეჯერების“ ცრუ დაპირებების სერია გრძელდება!



შეთანხმება

16 მაისი, 2016 წელი

ქ.ოზურგეთი

ერთის მხრივ, ქალაქ ოზურგეთში, იო. ახმეთის N34-36-ში მცხოვრებელი (მობინადრეების, რომლებიც წარმოდგენილნი არიან ზაზა ჯუმბერიძის (პირადი ნომერი: 01008009876), ნინა ლიმბერაკის (პასპორტის ნომერი: CC285400A0) და მამუკა კაკუბავის (პირადი ნომერი: 41001002942) სახით საერთო კრების მიერ მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში, შემდგომ წოდებული ოფიციალურ „პირველი მხარე“ და მეორეს მხრივ

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „აჭიანი“ (ს.კ.211393057), წარმოდგენილი მისი ეკონომიური დირექტორის ეიორეკ კასანოვის (პირადი ნომერი: 01024018293) სახით, შემდგომში წოდებული ოფიციალურ „მეორე მხარე“ შეეთანხმებიან შემდეგზე:

1. მეორე მხარე იღებს ვალდებულებას მიმართოს ფიზიკური და სხვა სახის რესურსი და უზრუნველყოს ქალაქ ოზურგეთში იო. ახმეთის N34-36-ში მდებარე კორპუსზე (საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი ფართები) არსებული შემდეგი ნაკლოვანებების შემდეგ ვადებში:
   - გასარაჟის ჯაჭვლადი - 2016 წლის 20 მაისი;
   - მოამზადოს ავტოფარეხები ექსპლოატაციისთვის (დასრულდეს ლესვა და ღებვა, მოეწყოს ბოქლომები შესასვლელი და გამოსასვლელი, განათება) და გადასცეს კენჭისყრით ის მობინადრეებს ინდივიდუალურ საკუთრებაში - 2016 წლის 05 ივნისი;
   - სრულად დაასრულოს მოპირკეთების სამუშაოები - 2016 წლის 15 ივნისი;
   - დასრულდეს სამუშაოები სადარბაზოებში და მოეწყოს განათება - 2016 წლის 15 ივნისი;
   - დასრულდეს ეზოს მოპირკეთების სამუშაოები - 2016 წლის 31 დეკემბერი;
   - მოხდეს გრუნტის წყლების მიმართულების მოწესრიგება და შენობის სამარაგებელი და კედლების მისი შემოსილის ალეგეთა - 2016 წლის 20 მაისი;
   - დასრულდეს გრუნტის წყლების სადრენაჟო აუზის მოწყობა -2016 წლის 20 მაისი;
   - დასრულდეს ლიფტის შახტის უსაფრთხოების ნორმებთან შესაბამისობაში მოყვანა - 2016 წლის 20 მაისი;
   - მოეწყოს წყლისა და კანალიზაციის მილების დაერთება საერთო საქალაქო მაგისტრალზე 30 მაისი;
   - მოეწყოს ფოიე და კონსიერჟის სამსახურის ინფრასტრუქტურა პროექტით გათვალისწინებული პარამეტრებით - 2016 წლის 31 აგვისტო;

2. მეორე მხარე იღებს ვალდებულებას შეამოწმოს ქალაქ ოზურგეთში იო. ახმეთის N34-36-ში მდებარე კორპუსის (საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი ფართები) მდგომარეობა დადგენილი ნორმების და საქართველოს კანონის „პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსის“ მუხლი 4 თავის „ტექნიკური საფრთხის კონტროლი“ მოთხოვნათა შესაბამისად.

„POZOR! წინ აქსისია!“

„თეთრსაყელოიანი მენეჯერების“ ცრუ დაპირებების სერია გრძელდება!

კომპანია „აქსისის“ მიერ თბილისში, აბაშიძის ქუჩა №34-36-ში დაუსრულებელ მშენებლობასთან დაკავშირებული პერიპეტიები დღემდე გრძელდება. საცხოვრებელ კორპუსში ხალხი დღემდე მტვერსა და ნაგავში ცხოვრობს და უფრო მეტიც – მოსახლეობა, პრაქტიკულად, ყოველგვარი უსაფრთხოების ნორმების დაცვის გარეშეა.

უახლოეს წარსულში გამოქვეყნებულ სტატიებს „აქსისის“ მენეჯმენტის დროებითი გააქტიურება და მობინადრეებსა და „აქსისის“ ტოპმენეჯერებს შორის მოლაპარაკებების პროცესის ინიცირება მოჰყვა, რის შემდეგაც მოხდა შეთანხმების გაფორმება, უფრო სწორად „აქსისის“ მხრიდან გარკვეული ვალდებულებების აღება და მისი დოკუმენტურად დაფიქსირება. ორ მხარეს შორის ახლახან დადებულ ხელშეკრულებაში ყველა ვალდებულება ჩამოთვლილია და მათი შესრულება კონკრეტულ დროშია გაწერილი, რის გამოც მოსახლეობას იმედი გაუჩნდა, რომ კომპანია „აქსისი“, რომელიც მნიშვნელოვან ინვესტიციებს აბანდებს ახალ პროექტებში და ამ პროექტების რეკლამირებას ეწევა მასმედიაში, გამონახავდა რამდენიმე ათეულ ათას ლარს და საბოლოოდ დაასრულებდა ათწლიან მშენებლობას... მაგრამ, როგორც იტყვიან, „არ გათეთრდების ყორანიო“, უფრო სწორად, „თეთრსაყელოიანი მენეჯერები“ აბაშიძის №34-36-ში მცხოვრებ მოსახლეობას ახალ ინოვაციურ მიდგომას სთავაზობენ მათ მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულების გზაზე. რეალურად კი, უკვე მერამდენედ, მოსახლეობას იმედები ისევ უცრუვდება და სახეზე გვაქვს „აქსისის“ ცნობილი ხელწერა: პრაქტიკულად, მათ მიერ გაფორმებულ და ხელმოწერილ შეთანხმებას იმის ფასიც კი არ აღმოაჩნდა, რაც მასზე კარტრიჯის მელანი დაიხარჯა...

როგორც გითხარით, „აქსისმა“ მობინადრეების წინაშე ისევ აიღო კონკრეტული ვალდებულებები ახალი ხელშეკრულების დადებით. რა სახის შეთანხმებებზეა საუბარი და რა სახის სამუშაოების შესრულება აქვს დარჩენილი კომპანია „აქსისს“, სანამ შენობა ექსპლოატაციაში შევა?

გთავაზობთ შეთანხმების ჩამონათვალს:

— გამართოს ვენტილაცია — 2016 წლის 20 მაისი;

— მოამზადოს ავტოფარეხები ექსპლოატაციისთვის (დასრულდეს ლესვა და ღებვა, მოეწყოს შესასვლელი და გამოსასვლელი, განათება) და გადასცეს კენჭისყრით ის მობინადრეებს ინდივიდუალურ საკუთრებაში — 2016 წლის 5 ივნისი;

— სრულად დაასრულოს მოპირკეთების სამუშაოები — 2016 წლის 15 ივნისი;

— დაასრულოს სამუშაოები სადარბაზოებში და მოეწყოს განათება — 2016 წლის 15 ივნისი;

— დაასრულოს ეზოს მოპირკეთების სამუშაოები — 2016 წლის 31 დეკემბერი;

— მოახდინოს გრუნტის წყლების სადრენაჟო აუზის მოწყობა — 2016 წლის 20 მაისი;

— დაასრულოს ლიფტის შახტის უსაფრთხოების ნორმებთან შესაბამისობაში მოყვანა — 2016 წლის 20 მაისი;

— მოაწყოს წყლისა და კანალიზაციის მილების დაერთება საერთო საქალაქო მაგისტრალზე — 2016 წლის 30 ივნისი;

— მოაწყოს ფოიე და კონსიერჟის სამსახურის ინფრასტრუქტურა პროექტით გათვალისწინებული პარამეტრებით — 2016 წლის 31 აგვისტო;

— ექსპლოატაციაში ჩააბაროს შენობა წლის ბოლომდე.

როგორც ხედავთ, შეთანხმებაში ყველაფერი დეტალურადაა გაწერილი და საინტერესო ისაა, რომ ვადები თავად „აქსისის“ მენეჯმენტის მიერ არის მითითებული, მაგრამ მოჰყვება კი ამ ყველაფერს შედეგი?

არადა, სამშენებლო კომპანია „აქსისის“ ოფიციალურ ვებგვერდზე ისეთ ციტატებს წაიკითხავს კაცი, კითხვა დამთავრებული არ ექნება, ისე გავარდება კომპანიაში ბინის შესაძენად...

აი, მაგალითისთვის:

„აქსისის“ ასოცირება მუდმივად ხდება ინოვაციასა და პირველობასთან. იგი გახდა დარგის ლოკომოტივი და ბაზარზე სტანდარტის დამნერგავი დეველოპერული კომპანია. სწორედ მან შემოიტანა საქართველოში სიტყვა „დეველოპმენტის“ ცნება, დაიწყო პირველი „პალასების“ სერია უნიკალური მომსახურებით და პირველი ტყუპი ცათამბჯენის „აქსის თაუერსის“ მშენებლობა საქართველოში.

ჩვენი პროექტები გამოირჩევა თავისი მასშტაბებით, მრავალფეროვნებით, ინოვაციური მიდგომებით, თანამედროვე არქიტექტურითა და რაც მთავარია, ხარისხით, რის გამოც წლებია, მომხმარებელი ირჩევს „აქსისს“.

ერთია ეს ბრტყელ-ბრტყელი ფრაზები, მაგრამ მეორეა საქმე, რომელსაც კომპანია „აქსისი“ არაჯეროვნად ასრულებს და ათასგვარი ხრიკით აჭიანურებს ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას...

აბაშიძის №34-36-ის ერთ-ერთი მობინადრე დეტალურად საუბრობს იმ პრობლემებზე, რომლის წინაშეც ის და დანარჩენი მაცხოვრებლები, წლებია, დგანან:

– პრესაში გამოქვეყნებული სტატიების შემდეგ, „აქსისი“ ცოტა გამოფხიზლდა, მას მერე რაღაც სამუშაოები წამოიწყეს, მაგალითად, სადარბაზოში შეღებვა-შელესვა დაამთავრეს, სინათლე გაიყვანეს, მაგრამ ამის იქით საქმე აღარ წავიდა. კორპუსის დაბლა სართულებზე (მინუს სართულებზეა საუბარი), ავტოფარეხში, წყალი შემოდის, კედლებზე რომ წყალი გამოდის, შელესილი ფუჭდება, ვარდება და ეს წყალი ისეთი რაოდენობით გროვდება, რომ შეუძლებელია იქ ავტომანქანის გაჩერება. გარდა ამისა, ვენტილაცია ერთ-ერთ ლიფტზე ამოიღეს, ეს ლიფტი ბინებიდან ეზოში ჩადის, ეზოში ჩადის, ეზოში ჩადის,

კოდორის ხეობაში აფხაზი „მესაზღვრეების“ ავტომობილი ხევში გადავარდა

ოკუპირებული აფხაზეთის ე.წ. საგანგებო სიტუაციების სამსახურის ინფორმაციით, აფხაზი „მესაზღვრეებით“ დატვირთული სატვირთო ავტომობილი კოდორის ხეობაში ხევში გადავარდა. შემთხვევა სოფელ ჩხალთაში, სოხუმიდამ 50 კილომეტრში მოხდა.

ოკუპირებული რეგიონის საგანგებო სიტუაციების სამსახურის ხელმძღვანელ ლევ კვიცინიას განცხადებით, მაშველების მისვლამდე დაშავებულებს პირველადი დახმარება რუსმა სამხედრო მოსამსახურეებმა გაუწიეს.

– მანქანაში, რომლიც ხევში გადავარდა, 6 ადამიანი იმყოფებოდა. 5 დაშავებული სოხუმის საავადმყოფოში გადაიყვანეს. ერთ-ერთი მათგანის ჯანმრთელობის მდგომარეობა მძიმეა. კიდევ ერთი ადამიანის ბედი ჯერჯერობით უცნობია, მიმდინარეობს სამძებრო-სამაშველო სამუშაოები, - განაცხადა კვიცინიამ. (pia.ge)

რა მოხდა მეორე საჯარო სკოლის „ბოლო ზარზე“ - რატომ დატოვა ხელისუფლებამ ღონისძიება

ქალაქ ოზურგეთის მეორე საჯარო სკოლის „ბოლო ზარის“ ღონისძიებაზე მცირე ინცინდენტი მოხდა – ოზურგეთის სახელმწიფო დრამატულ თეატრში მიმდინარე საღამოზე, როცა მოსწავლეებმა ქვეყნის ექსპრემიერ ბიძინა ივანიშვილს სიმღერა „ეს პატარა მინდორ ველია ჩემია“ მიუძღვნეს, ხელისუფლების რამდენიმე წარმომადგენელმა დარბაზი პროტესტის ნიშნად დატოვა.

როგორც ხელისუფლების წარმომადგენლები კონფიდენციალურ საუბრებში აცხადებენ, მათი ხელმძღვანელები არა იმდენად სიმღერამ, არამედ ამ სიმღერის ფონზე, სცენაზე ხის გამოჩენამ გააღიზიანა:

– როცა მე წინა ხელისუფლების დროს კრიტიკულ განცხადებებს ვაკეთებდი, ის ადამიანები, ვინც ამის გამო ახლა მაკრიტიკებს, მაშინ მსაყვედურობდნენ. ეს არ იყო ბოროტი ხუმრობა და ძალიან ვთხოვ ყველას, ამას გაგებით შეხვდნენ. იყო სიმღერა „ეს პატარა მინდორ ველი ჩემია“ და ამის ფონზე ხემ „ჩაიარა“, ეს ბიძინა ივანიშვილისადმი მიძღვნილ კომპოზიციაში მოხვდა. მაგალითად, კუზანოვისადმი მიძღვნილ კომპოზიციაში იყო სიმღერა „მახინჯი ვარ“ და ა.შ. რა არის ამაში ცუდი, ან ბოროტული, ვერ ვხვდები, ეს უბრალოდ ხუმრობა იყო, - ამბობს სკოლის „ბოლო ზარის“ ღონისძიების რეჟისორი, პედაგოგი მაია ღლონტი.

(guriismoambe.com)

მაკა დეკანოსიძე
551 99-18-19

რა ძვირფასი ნივთი „აორთქლდა“ თბილისის ერთ-ერთი ცენტრალური მუზეუმიდან?

მუზეუმებიდან ეროვნული საგანძურის დაკარგვის შესახებ ინფორმაცია არაერთხელ გავრცელებულა. ჭორ-მართალის ლაბირინთებში დღემდე დაუზუსტებელია და ბუნდოვანებით მოცული, რა სიმდიდრეს ვფლობთ, არავინ იცის, იმ ნივთებიდან, რა დარჩა და რა – გაქრა, რომელიც საუკუნეების მანძილზე შემოინახა სისხლის ფასად ქართველობამ და საბოლოოდ, ექვთიმე თაყაიშვილის უდიდესი ღვაწლის შედეგად, დაბრუნდა საქართველოში. ერთი ასეთი ამბავი „ალიას“ გუშინაც შეატყობინეს. რამდენად რეალურია ეს ინფორმაცია, ვერ გეტყვით, რადგან არც მუზეუმი დაკონკრეტებულა (უბრალოდ, გვითხრეს, ერთ-ერთი ცენტრალური მუზეუმიაო), არც დაკარგული ნივთი, თუმცა გვითხრეს, ძვირფას ნივთზეა საუბარი, ხელისუფლება დაინტერესდეს, ჩაატარონ მუზეუმებში აღწერა და გაიგებენ რა დაიკარგა, ისე კი, რომ იცოდეთ, არავინ არაფრის მომკითხავი არ არის, სადაც უნდათ, რაც უნდათ, ის გააქვთ და შემოაქვთ სამუზეუმო ნივთებიო.

კიდევ ვიმეორებთ, ჩვენ გადაჭრით არ ვამტკიცებთ, რომ ნამდვილად იკარგება მუზეუმებიდან ნივთები, მაგრამ, თუ შესაბამისი სტრუქტურები მუზეუმებში არსებულ სიტუაცია შეისწავლიან, ალბათ, ბევრი რამე გახდება ცხადი.

ალბათ, გახსოვთ, როდესაც 2012 წელს აუდიტის სამსახურმა გამოძიება ჩაატარა, მუზეუმებში შექმნილ ვითარებასთან დაკავშირებით. ამ დასკვნაში აღნიშნულია, რომ დაფიქსირდა „გარკვეული დანაშაულის ნიშნები“. საქმე პროკურატურას გადაეგზავნა. პროკურატურამ აღნიშნულ საქმეებზე 2013 წლის გაზაფხულზე დაიწყო გამოძიება, თუმცა მას შემდეგ ამ თემაზე აღარავის უსაუბრია. არც დანაშაულის ჩამდენი უნახავს ვინმეს დაპატიმრებული ან ბრალწაყენებული.

აქეთ-იქით მოსიარულე ფიროსმანის ნახატი თუ სხვადასხვა ეროვნული ფასეულობები კი, იცოცხლე, ბლომად გვსმენია, ხან პრეზიდენტ სააკაშვილის სასახლეში გადავაწყდებოდით ეროვნულ განძს, ხანაც სხვადასხვა დარბაზებში. ამაზე რომ პასუხი არავის უგია, ესეც ფაქტია. „ალიასთან“ საუბარში არაერთ რესპონდენტს უთქვამს, რომ საგანძური უმეტესად ისეთ ადამიანებს გააქვთ ქვეყნიდან, დიპლომატიური იმუნიტეტი რომ აქვთ და ბარგს არ უმოწმებენ, მაგრამ ესაც შეიძლება სათუოდ ჩაითვალოს, რადგან მინიმუმ, ბარგს საბაჟო ე.წ. რენტგენში ატარებს. დანარჩენი, რა და როგორ ხდება, ეს სპეცსამსახურების საქმეა.

ეროვნული საგანძურის განიავებასა და მუზეუმებიდან „აორთქლებაზე“ წლებია, განგაში აქვს ატეხილი საზოგადოებრივ მოძრაობა „ლაზარეს“ წარმომადგენელს, ისტორიკოსსა და ხელოვნებათმცოდნე ბაია ამაშუკელს. ამიტომ „ალია“ მიღებული ინფორმაციის შემდეგ, სწორედ მას დაუკავშირდა:

– ამ თემასთან დაკავშირებით, ძალიან დიდი დაინტერესება მქონდა და მაქვს, ისევე როგორც ჩვენი კულტურული მემკვიდრეობის მიმართ. თავის დროზე კომისია რომ შეიქმნა, მინდოდა, რომ წარმომადგენელი ყოფილიყო ჩვენი მხრიდან, რადგან საცავში შესვლაა საჭირო, რომელიც ალაფი იყო ადრე და ადგილზეა დეტალურად სანახავი. არ ვამბობ, რომ რაღაც განსაკუთრებული სტატუსი მაქვს, მაგრამ ყველას ვერ ვენდობი, ძალიან მინდოდა, სანდო ადამიანებისგან მქონოდა ინფორმაცია. მაგრამ „ლაზარე“ ვერ მოხვდა საცავის შემოწმებისას. როგორც ვიცი, ეს მოკვლევა ჩატარდა. ქალბატონი მარინა მიზანდარი იყო მაშინ კულტურის მინისტრის მოადგილე და თქვეს, რომ ყველაფერი ადგილზეა. თუმცა ძალიან მეეჭვება, ასე იყოს.

— მაგრამ ინფორმაცია, რომელიც ჩვენ მივიღეთ, ახალია და ხომ არ იცით, ამის შესახებ რამე? მით უმეტეს, ჩვენთვის არც მუზეუმი დაუკონკრეტებიათ, არც დაკარგული ნივთი...

– მსგავსი ინფორმაცია მეც მომივიდა, იმ თვალსაზრისით, რომ მუზეუმების ოპტიმიზაცია იყო დაგეგმილი და თითქოს მეტროპოლიტენის მუზეუმს უნდოდა ერთ-ერთი ხატი. ეს უკვე ოქროს ფონდზეა საუბარი. მაგრამ კონკრეტულს ვერაფერს გეტყვით. მე არ მაქვს წვდომა საცავებთან, ვიცი, რომ აპირებდნენ ამ ხატის გატანას, მოხდა თუ არა, არ ვიცი. უშუალოდ დირექტორმა უნდა თქვას, ან დაადასტუროს, ან უარყოს. საერთოდ კი, როდესაც მუზეუმების ცენტრალიზაციაზეა საუბარი, მე პირადად არ მესმის, როგორ შეიძლება მუზეუმების გაერთიანება. ერთი ფონდიდან მეორეში გადატანის დროს, იტყვიან, რომ დაიკარგა და ვინ რას ედავება, ვინ რას უმოწმებს? არიან ასე ხელგახსნილად. ზუსტი აღრიცხვა, შედარება ძველ, კომუნისტებისდროინდელ კატალოგებთან უნდა მომხდარიყო, რადგან იქ ზუსტად იყო დაფიქსირებული, რომელ მუზეუმში რა იყო, მაგრამ ეს არ მომხდარა.

— ბოლოს როდის მოხდა მუზეუმების აღწერა და ვის მიერ, ხომ არ იცით?

– არც ვიცი და არც მგონია, რომ მომხდარიყო ასეთი რამ, კარგა ხანია. დავით ლორთქიფანიძეს რომ დაუქვემდებარეს 5 მუზეუმი, „ნაციონალების“ დროს, რა როგორ ხდებოდა და ვის სად რა გადაჰქონდა და ანდობდა ნივთებს, კაცმა არ იცის. ფიროსმანს, სხვა საგანძურს აქეთ-იქით დაატარებდნენ, პარლამენტში, რეზიდენციებში. როგორ შეიძლება, ასე დაუკითხავად წაღება, ხალხის ქონებაა ეს ხომ?

— გარდა გადატან-გადმოტანისა, ძირითად შემთხვევაში საცავებიდან იკარგება საგანძური?

– იცით, რაა? საცავი ის ადგილია, სადაც მუზეუმის ძირითადი რელიქვია ინახება და, ალბათ, უფრო საცავიდან, მაგრამ არის ფაქტები, როცა საგამოფენო სივრციდანაც გამქრალა. არ არის გამორიცხული ასეც მომხდარიყო. იგივე ერმიტაჟიდან თავის დროზე ძალიან ბევრი რამ გაიტანეს.

— და რა სქემაა ყველაზე აპრობირებული, საგანძურის ქვეყნიდან გასატანად თუ გასაყიდად?

– სქემა მარტივია, ასლით უნდა შეიცვალოს ორიგინალი, მერე წავიდეს შემდეგ ეს ვითომ-ექსპოზიციაზე, სადღაც უცხოეთში, შემდეგ ან დაბრუნდება ორიგინალი, ან – არა.

— ვინ ამოწმებს საგანძურს, მის ორიგინალობას, მუზეუმიდან გატანის ან შემოტანის დროს? მხოლოდ მუზეუმია ამაზე პასუხისმგებელი თუ არსებობს რაიმე სტრუქტურა, რომლის დასკვნაც ანგარიშგასაწევად შეიძლება ჩაითვალოს?

– წესით, კომისია უნდა დგებოდეს და ის ამოწმებდეს, ამ ეტაპზე არ ვიცი, როგორ ხდება. ამ ეტაპზე არც სამინისტროში ვმუშაობ და არც სახელმწიფო მუზეუმის დირექტორი ვარ. მაგრამ სულ ვარ მოწადინებული, რომ რაც შეიძლება მეტი ინფორმაცია მივიღო ამ კუთხით, რადგან ეს იმხელა მემკვიდრეობა, არ შეიძლება ასე ხელაღებით მიუშვათ ყველაფერი, ხალხს ეკუთვნის და საზოგადოებისთვის გამჭვირვალე უნდა იყოს ყველაფერი.

P.S. რედაქციამ ინფორმაცია სამუზეუმო ექსპონატების დაკარგვის შესახებ დღის ბოლოს მიიღო, ამიტომ სახელმწიფო მუზეუმთან და შესაბამის პასუხისმგებელ ორგანოებთან დაკავშირება ვეღარ მოხერხდა, თუმცა მაღალი საზოგადოებრივი ინტერესიდან გამომდინარე, საჭიროდ ჩავთვალეთ თემის გაშუქება. საწინააღმდეგო არგუმენტების ქონის შემთხვევაში სახელმწიფო მუზეუმს შეუძლია, დაგვიკავშირდეს და მკითხველს მათ პოზიციასაც გავაცნობთ.

გია კორკოტაშვილი: „ივანიშვილი ახლა გვპირდება, რომ 10-14 წელიწადში კარგად ვიქნებითო და 2030 წელს რა დარჩება საქართველოდან, კაციშვილმა არ იცის“

მაკა დეკანოსიძე
551 99-18-19

„ალიას“ თბილისის კოლორიტი, „ქართული მისიის“ დამფუძნებელი **გია კორკოტაშვილი** ესაუბრა:

— ბატონო გია, თქვენ არაერთხელ დაპირდით ქართველ ხალხს, რომ, თუ ხელისუფლება ხალხისკენ არ მობრუნდებოდა, ღიად დაუპირისპირდებოდით ივანიშვილის გუნდს. ხალხი რა ხანია შავ დღეშია, მაგრამ ჯერ ვერ ვხედავთ თქვენს აქტიურობას. რას ელოდებით?

– ყოველთვის აქტიური ვარ, მაგრამ როგორი აქტიური ვარ, იცით? ახლობელს რომ გინდა, განუმარტო, არასწორად იქცევა და სჯობს, სხვანაირად გააკეთოს. ჩემი რჩევები იყო სუფთა მეგობრული, მაგრამ ჩემი რჩევა არავინ არაფრად ჩააგდო. ელემენტარული, პატარა ყურის დაგდება რომ სცოდნოდათ მაგათ, ეგრე არ წავიდოდა ყველაფერი. მე ვთხოვე, რომ უნდა დამთავრებულიყო უსამართლობა, ვინც დასაჭერი იყო, დაეჭირათ, მაგრამ ეს არ გააკეთეს. საზოგადოება აფორიაქებულია უკვე და აღარ სჯერა „ოცნების“, იმიტომ რომ, რასაც დაჰპირდა, არ შეუსრულა. ხალხმა თქვა, კოჰაბიტაციაში არიან „ოცნება“ და „ნაციონალები“ და ამიტომ ორივეს ერთად მოცილება უნდა საზოგადოებას.

ყველაზე დიდი უბედურება ის არის, რომ „ოცნების“ ის გუნდი, რომელიც ბიძინამ აარჩია, არაფრის მაქნისია. მეტი წილი მაგათგან სახლში იჯდა, როცა საზოგადოების დიდ ნაწილს „ნაციონალებთან“ მუშტი-კრივი ჰქონდა. ამ პროცესში მეტი წილი ადამიანებისა, ვინც ახლა ხელისუფლებაშია, არ მინახავს მე სადმე. ახლა კიდევ ბრტყელ-ბრტყელი სიტყვებით გველაპარაკებიან ზემოდან. იმათ არ იციან, საქართველოს, ხალხის გულში გულში რა დუღს. ესენი თბილად არიან, მშვენივრად გრძნობენ თავს. თუკი დასავლეთისთვის „ნაციონალების“ ოპოზიციონერობა მისაღებია, ხალხმა რა დააშავა? ხელისუფლებაში კი კვლავ გვიმტკიცებენ, რომ „ნაციონალები“ არიან მთავარი ოპოზიცია. ბიძინაც მაგას ლაპარაკობს დღეს, რომ „ნაციონალები“ ოპოზიციაში დარჩებიან, ესაა კატასტროფა.

— მერე, ამდენ ხანს ასე წყნარად ჯდომა ღირდა?

– არ ღირდა. მიღ უმეტეს მაშინ, როცა ხელისუფლებამ ხელოვნურად შეუწყო ხელი ამ პროცესებს, ძალიან ბევრი ტელევიზიის პოპულარულ წამყვანს, რომელთანაც პრეტენზია მქონია და მიკითხავს, რატომ არიან დებატებში მხოლოდ „ნაციონალები“ ხელისუფლების პირისპირ, უთქვამთ, რომ თავად „ოცნებიდან“ ირჩევდნენ ოპონენტად „ნაციონალურ მოძრაობას“. სხვას ოპოზიციის ნიშა არ დაუტოვეს.

ფაქტია, რომ აწყობს „ნაცები“ ოპოზიციად ყოფნა ხელისუფლებას. შენ თუ რამე პროტესტი გამოთქვი, ეგრევე გეტყვიან: „რა არის, ძმაო, „ნაციონალებისკენ“ გადახვედი? მათ წისქვილზე ასხამ წყალს?“ და ამის ქვეშ ძვრებიან 4 წლის განმავლობაში, მაგრამ ხალხი უკვე მიხვდა ამ ვირეშმაკობას და უკვე ეუბნება, არც შენ მომწონხარ, არც „ნაციონალები“, კარგად ბრძანდებოდეთ, რა! ამოწურეთ თქვენ თქვენი ყველაფერი და გაგვანებეთ თავი. უკვე ერთ კატეგორიაში გადიან ესენი, რა.

— ივანიშვილთან წერილობით მიმართვას და ყველა იმ პრობლემაზე საუბარს აპირებდით, რის წინაშეც ვდგავართ, მოახერხეთ მასთან კონტაქტი?

– არა, მე მას პირადად არ ვიცნობ ახლოს, რამდენიმეჯერ შევხვედრივარ, მაგრამ არა ერთიერთზე. მაგრამ ტელევიზიიდან, საიდანაც შემიძლია მივწვდე, ვცდილობ, გავაგებინო, რა დღეში ჩააგდეს ქვეყანა. ბიძინა არ მიცნობს მე და გარშემომყოფების მიერ მიტანილი ამბებით აფასებს, მე ვინა ვარ და როგორი ვარ. ჩემნაირად რამდენი ადამიანია კიდევ, ჩემზე ნიჭიერიც, ჩემზე ჭკვიანიც და ჩემზე ვაჟკაციც, რომ ბიძინას ეს კარგი ხალხი შეაძულეს თავისმა შხამიანმა გველებმა.

— რჩევას და მორალის კითხვას აზრი აღარ აქვს, არ უნდათ და არ შეისმინეს. თან როგორ გაყოყოჩებული არიან ეს უსაქმურები, ისევ უნდათ ხელისუფლებაში ყოფნა...

– ახლა უკვე ღიად მივდივარ პოლიტიკაში. ღმერთმა არ ქნას, ვინმემ დააპიროს გაყალბება ან გამოყალბება. იქ მერე უკვე შეურაცხყოფილად ვიგრძნობთ თავს. თუ ასეთი რამ მოხდა, მერე სერიოზულად გამოვალთ, გინდა ქუჩაში და გინდა სხვაგან, როგორც დაგვჭირდება, ისეთ პროტესტს გამოვხატავთ. მაგრამ რომ არ მოხდეს მხოლოდ „ოცნებისა“ და „ნაციონალების“ მთავარ პოლიტიკურ ძალად წარმოჩენა, ამას ხელი უნდა შეუწყოს იმ გემრიელმა მოსახლეობამ, ვისთვისაც მომავალი რამეს ნიშნავს. ასეთმა ხალხმა უნდა იმუშაოს მთავრობაში, პარლამენტში. მონობაში არ გვინდა, ან დასავლეთის, ან ჩრდილოეთის, ან ვინმესი, საქართველოს ხელისუფლებაში უნდა იყვნენ ქართული მენტალობით აღზრდილი ადამიანები.

— თქვენც თქვით, რომ მოსახლეობას აღარც „ნაცები“ უნდა და აღარც „ქოცები“. მოსახლეობის 60% ბოიკოტის რეჟიმშია. შეძლებენ ახალი პოლიტიკური ძალები, ხალხის გადაუწყვეტელი ნაწილი გადაიბირონ და ეს ორი ძალა ხელისუფლებას ჩამოაშორონ? მოსახლეობა მშიერია, წამლის ფული არ აქვს და აღარც არავის იმედი დარჩა, საკუთარი თავის გარდა.

– ეს 60% იმდენად გულგატეხილია, რომ ძალიან რთულია ამ ადამიანების გულის მოგება. დღეს რომ გაზრდილია ყველაფერზე ფასები – წამალზე, გაზზე, ბენზინზე, საყოფაცხოვრებო პროდუქტზე, ამას ხომ არაფერი უდგას წინ, რომ ჩაიხედო, რა ფასში შემოდის და რამდენს უმატებენ? ხელისუფლებამ ჯერ ხალხისგან უნდა დაიწყოს, ტკივილი რაშია და როგორ არის, თორემ ივანიშვილი ახლა გვპირდება, რომ 10-14 წელიწადში კარგად ვიქნებითო და 2030 წელს რა დარჩება საქართველოდან, კაციშვილმა არ იცის. ბერგმანის ფილმშია, მკვდარი ქალაქი, არავინ არ ცხოვრობს და მარტო კატაფალკები დადიან აქეთიქით, ასე დაგვემართება ჩვენც. 2030 წლამდე ადამიანებს თუ საჭმელი, სასმელი, წამალი და მომავლის იმედი არ ექნათ, დამთავრებულა ქართველობა.

> „ესენი თბილად არიან, მშვენივრად გრძნობენ თავს. თუკი დასავლეთისთვის „ნაციონალების“ ოპოზიციონერობა მისაღებია, ხალხმა რა დააშავა? ხელისუფლებაში კი კვლავ გვიმტკიცებენ, რომ „ნაციონალები“ არიან მთავარი ოპოზიცია. ბიძინაც მაგას ლაპარაკობს დღეს, რომ „ნაციონალები“ ოპოზიციაში დარჩებიან, ესაა კატასტროფა“

„არჩევანში“ მონაწილეობის გამო, „მაესტრომ“ ოთხ ჟურნალისტს შრომითი ხელშეკრულება შეუჩერა

„მაესტრომ“ თამუნა ქემერტელიძეს, თელარა გელანტიას, ელენე კვანჭილაშვილსა და ბექა ბაციკაძეს შრომითი ხელშეკრულება შეუჩერა. ინფორმაციის თანახმად, არხის დირექტორი ზურაბ ნაყეური აღნიშნულის მიზეზად „ბიზნესკონტაქტისა“ და „საქმიანი დილის“ თანამშრომლების ტელეკომპანია „რუსთავი 2“-ის გადაცემა „არჩევანში“ მონაწილეობა დაასახელა.

– ვთვლით, რომ ყოვლად დაუშვებელია ტელეკომპანია „მაესტროს“ მოქმედმა თანამშრომლებმა საზოგადოების მენეჯმენტთან შეუთანხმებლად მონაწილეობა მიიღონ კონკურენტი ტელეკომპანიის ან ტელეკომპანიების თოქშოუებში, სადაც შპს „მაესტროს“ საქმიანი რეპუტაციის შემლახავი და მისი კომერციული ინტერესების დამაზიანებელი განცხადებები კეთდება. ჩნდება გონივრული ეჭვი, რომ ამ შემთხვევაში ადგილი აქვს მესამე პირების მხრიდან „მაესტროს“ სარედაქციო დამოუკიდებლობაში ჩარევის მცდელობას და მისი კომერციული ინტერესების უხეშ ხელყოფას, - ნათქვამია წერილში. (news.ge)

სანდრო ბრეგაძე: თამაზ მეჭიაურთან ერთად მძლავრ, ერთიან ეროვნულ პოლიტიკურ ძალას!

– იქმნება ერთიანი, დიდი, მძლავრი ეროვნული ძალა, რომელიც ერთობლივი ძალებით მონაწილეობას მიიღებს საპარლამენტო არჩევნებში, - ამის შესახებ პარტია „ეროვნულების“ ლიდერმა განაცხადა. სანდრო ბრეგაძის თქმით, მოლაპარაკების პროცესი დეპუტატ თამაზ მეჭიაურთან მიმდინარეობს. მისი განცხადებით, კონსულტაციები იმართება იმ პოლიტიკოსებთან და საზოგადოებისთვის ცნობილ სახეებთან, რომლებიც მიხეილ სააკაშვილის რეჟიმს ებრძოდნენ.

– ბატონ თამაზს ჩემთან ჰქონდა საუბარი არაერთხელ, შევხვდით კიდეც ერთი ერთზეც და ფართო ფორმატშიც. მეჭიაური ჩემი დიდი ხნის მეგობარია, ჩვენ ჯერ კიდევ 1999 წლის პარლამენტიდან ვმეგობრობთ, ერთად ვიყავით პარალმენტის დეპუტატები. მოლაპარაკებები არის იმ ადამიანებთანაც, რომლებიც წინააღმდეგნი არიან „ნაციონალურ მოძრაობასთან“ კოჰაბიტაციის რეჟიმის. სერიოზული თანამშრომლობის ჩანასახი უკვე არსებობს. საუბარია, შეიქმას ერთიანი, დიდი, მძლავრი ეროვნული ძალა, რომელიც მონაწილეობას მიიღებს საპარლამენტო არჩევნებში, - განაცხადა ბრეგაძემ. მისივე თქმით, თანამშრომლობას ექნება პოლიტიკური პარტიის ფორმა, თუმცა ბრეგაძე არ გამორიცხავს კოალიციის რეჟიმში ურთიერთობასაც. (რეპორტიორი)

„არავინ მოგაგონათ? ერთი ცმუკვა აკლია და ეგ არი, რა“

პრემიერ გიორგი კვირიკაშვილის განცხადებას, „რუსთავი 2“-ს გენერალური დირექტორის ნიკა გვარამიას შესახებ, ირინა სარიშვილი „ფეისბუკში“ ეხმაურება.

„აბა მოგროვდით კვირიკაშვილის სიდინჯით, პროფესიონალიზმით და გაწონასწორებულობით აღფრთოვანებულები.

“გვარამია კაცი რომ იყოს პასუხს გავცემდიო“....

არავინ მოგაგონათ? ერთი ცმუკვა აკლია და ეგარი რა.

პრემიერის ამ თავხედობასაც ზუსტად იგივე მუშტარი ყავს, რაც სახელმწიფოს დაკვეთილ ცემას...

კვირიკაშვილის მიწისქვეშათი გადასვლით და დაჩოქებით გულაჩუყებულებს და მისი ვიზუალით აღტაცებულებს გთხოვთ კონსულტაციები გაიაროთ ნებისმიერ საშუალო დონის ფსიქოლოგთან, რომელიც უცბად აგიხსნით მისი ფსიქიკის და ფიზიონომიის თავისებურებებს (პროფესიონალი თაღლითის).

აქ უარგუმენტო კომენტარების დადებას ასე აჯობებს ისევ თქვენთვის“, - წერს სარიშვილი.

(news.ge)

ირაკლი კობახიძე: პრეზიდენტის განცხადება არასამართლიანი და არაობიექტურია!

„ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოს“ აღმასრულებელმა მდივანმა ირაკლი კობახიძემ პრეზიდენტ გიორგი მარგველაშვილის მიერ გაკეთებულ განცხადების საპასუხოდ, რომელიც მმართველ გუნდში „მოძველბიჭო“ ჯგუფების არსებობას ეხებოდა, განაცხადა, რომ გიორგი მარგველაშვილმა ზუსტად იცის, რა გუნდია წარმოდგენილი „ქართულ ოცნებაში“ და რომ, ამ გუნდის დახმარებით გახდა ის საქართველოს პრეზიდენტი.

– პრეზიდენტის ეს განცხადება არ არის სამართლიანი და არ არის ობიექტური. პრეზიდენტმა კარგად იცის, ვის აერთიანებს ჩვენი გუნდი. აქედან გამომდინარე, კიდევ ერთხელ გავიმეორებ, რომ ეს განცხადება არის არასამართლიანი და არ არის კორექტული, - განაცხადა კობახიძემ. მისივე თქმით, „ქართულ ოცნებაში“ არ არსებობს არანაირი „ძველბიჭური“ დაჯგუფება.

პარტიის აღმასრულებელი მდივანი კორცხელში მომხდარ ინციდენტსაც გამოეხმაურა და აღნიშნა, რომ ამასთან დაკავშირებით მთელმა გუნდმა, მათ შორის პარტიის ხელმძღვანელობამ, ძალიან მკაფიო განცხადება გააკეთა.

– ჩვენთვის მიუღებელია ის, რაც მოხდა კორცხელში და ყველაფერს გავაკეთებთ იმისთვის, რომ ასეთი რამ თავიდან ავირიდოთ ოქტომბრის არჩევნებში. აქედან გამომდინარე, ზედმეტია საუბარი იმაზე, რომ საქმე გვქონდა დაგეგმილ აქტთან, - განაცხადა ირაკლი კობახიძემ. (რეპორტიორი)

რატომ გადაწყვიტა თავდაცვამ სამხედრო-საჰაერო ძალების აღდგენა და რას მოაკლდება მისი შესანახი ფული?

ლევან ჯავახიშვილი
577 51-73-37

თავდაცვის სამინისტროს განცხადებით, უწყება სამხედრო-საჰაერო ძალების სარდლობის შექმნას აპირებს, რასაც, თავისთავად, მოჰყვება ამ სახეობის ჯარების შექმნა და შესაბამისი სამხედრო სტრუქტურის ჩამოყალიბებაც.

რატომ გადაწყდა გაუქმებული სტრუქტურის აღდგენა?

„ალიას“ უსაფრთხოების ექსპერტი, ვახტანგ მაისაია ესაუბრა:

– მას შემდეგ, რაც სახმელეთო ჯარების ორი სარდლობა შეიქმნა, აღმოსავლეთისა და დასავლეთის, როგორც ჩანს, დღის წესრიგში დადგა სამხედრო საჰაერო ძალების აღდგენა, რომელიც მიხეილ სააკაშვილმა გაანადგურა და, ფაქტობრივად, გააუქმა 2008 წლის იმის შემდეგ, კონკრეტულად, 2009 წელს. ეს იყო საქართველოს თავდაცვისუნარიანობაზე სერიოზული დარტყმა. სამხედრო საჰაერო ძალებში შედიოდა საჰაერო და ჰაერსაწინააღმდეგო თავდაცვის სისტემები. მათი წვლილი 2008 წლის რუსეთთან ომში პატარა არ იყო, რამდენიმე თვითმფრინავი ჩამოაგდეს. კი, ჩვენ გვყავს „სუ 25“-ები, სხვა სახის სამხედრო დანიშნულების თვითმფრინავები, მაგრამ ისინი უნდა შედიოდნენ სახმელეთო ძალების შემადგენლობაში. რის შეძენასაც აპირებს თავდაცვის სამინისტრო ამ ახალი სახეობის ჯარების აღდგენის შემდეგ, ეს გამოჩნდება. შესაძლოა, სამხედრო საჰაერო სახეობის იარაღი და საფრენი აპარატები შეიძინონ იმ ფრანგული კონტრაქტის საფუძველზე, რომელსაც ირაკლი ალასანია ლობირებდა. ამ ჯარების შექმნას, მინიმუმ, ტაქტიკური ავიაგამანადგურებლების შეძენა უნდა მოჰყვეს, სხვაგვარად მის შექმნას აზრი არ აქვს.

— ფინანსური რესურსი აქვს სახელმწიფოს საიმისო, რომ ეს ძვირად ღირებული შეიარაღებული ძალები შევინახოთ, ჯარის ახალი სახეობა შევქმნათ?

– ფინანსური რესურსი გამოჩნდება, თუ თავდაცვის სამინისტროდან ფუქსავატ ბიუროკრატებს გაუშვებენ, მოახდენენ სამინისტროში შტატების შემცირებას, კადრების ოპტიმიზაციას... გამოთავისუფლებული სახსრებით შესაძლებელი იქნება, მინიმუმ, საშუალო ტაქტიკური ავიაგამანადგურებლების შეძენა და ამას ბიუჯეტიდან დამატებითი თანხების გამოყოფა არ დასჭირდება.

— საჰაერო ძალების შექმნა ნატო-ს მოთხოვნაა და იმიტომ აკეთებს ამას თავდაცვის სამინისტრო თუ, უბრალოდ, გადაწყვიტეს ამ ჯარის სახეობის აღდგენა?

– კი, შესაძლოა, ნატო-ს მოთხოვნითაც კეთდება, დაბეჯითებით ვერ ვიტყვი ამის შესახებ. თუმცა, სავარაუდოდ, ასე უნდა იყოს. ნატო-ს სამხედრო სტანდარტებს რომ არ შეესაბამებოდა სტრუქტურულად საქართველოს შეიარაღებული ძალები, ამის შესახებ ნატო-ს სამხედრო მაღალჩინოსნებმა არაერთხელ განაცხადეს. ეს ერთ-ერთი საბაბი იყო ნატო-ს წევრი სახელმწიფოებისთვის, როცა აცხადებდნენ, საქართველო არ არის მზად ნატო-ში გასაწევრიანებლადო.

— კარგი, დავუშვათ, ეს ნატო-ს კატეგორიული მოთხოვნაა, რასაც, როგორც წესი, მუდამ ვემორჩილებით. საჰაერო ჯარების შენახვა ხომ ერთჯერადად არ ხდება, უზარმაზარი დამატებითი თანხები დასჭირდება ყოველწლიურად, ალბათ, ასობით მილიონი და ეს ფული საიდან უნდა მოიტანოს სახელმწიფომ? ასევე, ამ სფეროში შესაფერისი სამხედრო კადრები გვყავს — გენერალიტეტი და ოფიცრები?

– თავის დროზე ყველაფერი გვქონდა და გვყავდა, მაგრამ მიხეილ სააკაშვილმა სამხედრო საჰაერო ჯარები რომ დაშალა, გენერლებსა და ოფიცრებს უმუშევრად დარჩენა არ აკმარა და ბევრი მათგანი პოლიტიკური მოტივით დაიჭირა, ზოგს სისხლის სამართლის საქმე შეუთითხნეს და ციხეში ჩასვეს. 5-წლიანი საკადრო წყვეტა იყო ამ სფეროში და ცოტა არ არის, ლამის ყველაფრის ნულიდან დაწყებაა საჭირო. კადრები გვყავს, არიან ოფიცრები, რომელთაც უცხოეთში მიიღეს განათლება, ზოგმა ჩვენს სამხედრო აკადემიაში მიიღო კვალიფიციური განათლება და პატიოსნად და პროფესიონალურად ემსახურებოდა ქვეყანას, ომშიც გამოიჩინა ამ ხალხმა თავი. არიან ოფიცრები, რომელთა მომზადება აქ თუ უცხოეთში, 30 ათასი და 50 ათასი დოლარი დაჯდა, ასეთი ხალხი კი სახლში უმუშევრად არ უნდა იჯდეს. ჩემი აზრით, ამ ხალხს მოიყვანენ, საქმეს ჩააბარებენ და თავიდან ააწყობენ ამ სფეროს.

არ აგდებენ, რადგან რუსეთთან ურთიერთობის კიდევ უფრო გაფუჭება არ უნდათ, თუ ვერ აგდებენ?

– არ აგდებენ კი არა, ვერ აგდებენ, რადგან საჭირო და საკმარისი ტექნიკური საშუალებები არ გაგვაჩნია. კი, ბატონო, გვაქვს საჰაერო და ჰაერსაწინააღმდეგო საშუალებები, მაგრამ ეს საკმარისი არ არის. თქვენ იცით, რომ დღეს მხოლოდ საქართველოს საჰაერო სივრცის 10 პროცენტი თუ კონტროლდება და დანარჩენი დაუცველია? ასეთ პირობებში რუსეთიდანაც რაც შეეხება გენერალიტეტს, სამხედრო საჰაერო ძალების სფეროში ბრიგადის გენერალი ამირან სალუქვაძე მეგულება ნამდვილ პროფესიონალად, ის ამ ჯარების სარდალიც იყო და უდიდესი გამოცდილება აქვს, მის პროფესიონალიზმს უცხოელებიც აღიარებენ და დიდ პატივს სცემენ. თუმცა, ვის დანიშნავენ სარდლად, ამას გენერალური შტაბი გადაწყვეტს.

რაც შეეხება ჯარის ამ სახეობის შენახვის ხარჯებს, სხვა გზა არ არის, უნდა შევინახოთ, რადგან გვჭირდება. ვიმეორებ, თუ უსაქმური ბიუროკრატებისგან გაწმენდენ თავდაცვის სამინისტროს, გამოთავისუფლებული ფულით არა მხოლოდ შეიარაღების შეძენა იქნება შესაძლებელი, სამხედრო საჰაერო ძალების შენახვასაც მოხმარდება ეს ფული. ცხადია, სრულად არ ეყოფა, მაგრამ ეს სერიოზული შეღავათი იქნება ბიუჯეტისთვის.

— ბატონო ვახტანგ, ცხინვალის და აფხაზეთის ადმინისტრაციული საზღვრიდან, რა ხანია, ვერტმფრენი შემოფრინდება, იფრენს აქ თავის გემოზე, იმის ჩამოგდებას ვერ ვახერხებთ, როცა გვაქვს საჰაერო და ჰაერსაწინააღმდეგო თავდაცვის საშუალებები. გამოდის, რაც გვაქვს, იმასაც ვერ ვიყენებთ დანიშნულებისამებრ. ამ დროს კი ვქმნით სამხედრო საჰაერო ძალებს. ამის შემდეგ რა შეიცვლება? იმ რუსეთიდან შემოფრენილ მფრინავ აპარატებს მაინც ჩამოვაგდებთ, როცა ამხელა და შესაბამისი პროფილის სტრუქტურა დაემატება ჩვენს შეიარაღებულ ძალებს?

შემოფრინდებიან საფრენი აპარატები, თუ მოინდომეს, სხვა ქვეყნებიდანაც და არათუ ვერ ჩამოვაგდებთ, მათ უმეტესობას ვერც კი დავაფიქსირებთ. სამხედრო საჰაერო ძალების შექმნისა და ჯარის ამ სახეობის სრულყოფის, ერთიანი სარდლობის შექმნის, მართვის ცენტრის შექმნის შემდეგ, სავარაუდოდ, საქართველოს საჰაერო სივრცის 80 პროცენტი გაკონტროლდება. ამის შემდეგ თუ კიდევ შემოფრინდებიან საფრენი აპარატები და არ ჩამოაგდებენ, მაშინ უკვე, შეგვეძლება ხელისუფლების მხრიდან პოლიტიკური ნების არქონაზე ვილაპარაკოთ, რომ ვიღაცას ეშინია რუსეთის და მათ საფრენ აპარატებს საქართველოს საჰაერო სივრცეში თარეშის ნებას აძლევს.

— ნატო და ნატო-ს წევრი ცალკეული სახელმწიფოები რით შეიძლება დაგვეხმარონ, რომ საჰაერო ძალების ფეხზე დაყენება და შემდეგ, განვითარება შევძლოთ?

– ძნელია თქმა, დაგვეხმარებიან თუ არა და თუ დაგვეხმარებიან, კონკრეტულად, რით დაგვეხმარებიან. კადრების მომზადებასა და გადამზადებაში უნდა დაგვეხმარონ, ამას ჯარის სხვა სახეობებში აკეთებენ და გამონაკლისი ეს სფერო არ უნდა იყოს. რაც შეეხება შეიარაღებას, აქ უკვე ძნელია ლაპარაკი, რაიმეს გადმოგვცემენ თუ არა. თუმცა, ხარისხიანი და ჩვენთვის საჭირო შეიარაღების შეძენაში ნამდვილად დაგვეხმარებიან, ეს ნატო-ს ინტერესებშიც შედის.

ვინ მფარველობს „სტაიანშიკებს“ და ვის ჯიბეში მიდის 5 მილიონი?

დიანა ლიპარტელიანი
571 80-40-80

ვინ ლობირებს ე.წ. „სტაიანშიკებს“? ვის ჯიბეში მიდის წელიწადში, 5 მილიონამდე ლარი?

„ალიას“ „ანტიკორუფციული კავშირის“ ხელმძღვანელი, გია ბურჯანაძე ესაუბრა:

– რამდენიმე წელია, ქალაქ თბილისში, „სტაიანშიკების“ თემა უკონტროლო და ყბადაღებული თემა გახდა. ეს არის პრობლემა, რომელმაც ათასობით მოქალაქე შეაწუხა. დისკომფორტი გამოიხატება შემდეგში – იმ შემთხვევაში, თუკი კონკრეტულ ადგილზე გავჩერდით, მიუხედავად იმისა, რომ „სითი პარკთან“ მოგვარებული გვაქვს ყველაფერი, გადახდილი გვაქვს დგომის საფასური – მოქალაქეებს ავტომანქანის გასაჩერებლად გვიწევს დამატებითი გადასახადის გადახდა. ხშირია შემთხვევები, როდესაც ადამიანები სამსახურების წინ აყენებენ მანქანებს, რომლებსაც გადახდილი აქვთ იქ დგომის საფასური, მაგრამ მათთან მიდის „სტაიანშიკი“ და ეუბნება, – იცით რა, იქნებ თქვენი მანქანა გაიყვანოთ, იმიტომ, რომ მე მაქვს შესასრულებელი გეგმა, რომელსაც ვერ ვასრულებ, იმიტომ, რომ თქვენი მანქანა დგას ადგილზე მთელი დღის მანძილზეო. ჩვენთან, ასევე, მოდის ინფორმაცია, რომ ამ „სტაიანშიკების“ ირგვლივ შეინიშნება დიდი მოძრაობები, ვიღაცები ფულს კრებენ და ა.შ. ყოფილა შემთხვევები, როდესაც ახალგაზრდა ბიჭები ე.წ. სტაიანშიკებს და დანების ტრიალით და თვალების ბრიალით ურჩევდნენ საქმეს, ვის რამდენი უნდა მიეტანა.

თავიდან ვფიქრობდი, რომ ამ საქმეში ჩართული ადამიანები იყვნენ ან სოციალურად შეჭირვებულები, ან შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირები, რომელთა მიმართ, ადამიანურად, სიბრალულის განცდაც კი მიჩნდებოდა. როგორც მერე გავარკვიე, იმ ადამიანების უკან, რომლებიც ერთი შეხედვით სიბრალულს იწვევენ, დგანან კონკრეტული ჯგუფები და ამ „სტაიანშიკებსაც“ არჩევენ ამ კონკრეტული მახასიათებლების მიხედვით. ამიტომაც, როცა ფულს უხდით ამ ადამიანს და გგონიათ, რომ ეს თანხა მიდის მათ ოჯახებში, რეალურად ეს ასე არ ხდება, ისინიც ვიღაცის მიერ არიან დაქირავებულები, რომლებსაც ამ თანხის დიდი ნაწილი მიაქვთ. ყველამ კარგად ვიცით, რა ტარიფებიცაა ადგილების მიხედვით – ხალხმრავალ უბნებში 3-4 ლარიც კი ღირს ზოგგან. ასეთი ადგილია, მაგალითად, შარდენის ქუჩა, მით უმეტეს ღამის საათებშია კოშმარი ამ მხრივ.

ჩვენი გაანგარიშებით, წლის განმავლობაში, დაახლოებით 5 მილიონი ლარი მიდის გაურკვეველი მიმართულებით და ამ დროს თბილისის მერია და სხვა სტრუქტურები პირდაღებული შესცქერიან ამ პრობლემას, თითქოს არც არაფერი არ ხდება. როგორც გავარკვიეთ, ამ ადამიანებს აქვთ ყოველდღიური გეგმა – 30-100 ლარის ოდენობით, ადგილის მიხედვით. შესაბამისად, „სტაიანშიკი“, როცა ამ დღიურ გეგმას ვერ ასრულებს, იძულებული ხდება, იჩხუბოს, იძალადოს, შეურაცხყოფა მიაყენოს მძღოლს, ფული გამოსძალოს, რომ რამენაირად გეგმა შეასრულოს.

თითქოს პრობლემები გვაკლია. ეს „სითი პარკი“ ხომ არის ერთი დაუსრულებელი პრობლემა, არანაკლებია ესეც. ეს სისტემა იმდენად კორუმპირებულია, რომ მოქალაქე ვერც ვერაფერს გახდება. აბა, ვინმემ გაბედოს და თითი დააკაროს ნებისმიერ „სტაიანშიკს“, ისევ მოქალაქე დაზარალდება, ან მის მანქანას ვინმე მოტეხს სარკეს, ან საბურავს გაუჭრის და ასეთი ფაქტები, როგორც წესი, უგულებელყოფილი რჩება ხოლმე სამართალდამცავი უწყებების მხრიდან. ეს არის ჩვეულებრივი ბიზნესი, რომელიც სხვადასხვაგვარადაა წახალისებული, სხვადასხვა სტრუქტურების მიერ.

— რომელ სტრუქტურებს გულისხმობთ?

– საუბარია შს სამინისტროს თანამშრომლებზე, რომელთაგანაც ზოგიერთს პასუხიც აგებინეს, ანუ უწყების მიერ რეაგირების გარეშე არ დარჩა – საუბარი მაქვს დიდუბე-ჩუღურეთზე. ასევე, არიან ადამიანები, „სითი პარკის“ თანამშრომლები, რომლებიც ასევე მფარველობენ ამ ადამიანებს. ამავდროულად, ამ სეგმენტს მფარველობენ რაიონების გამგეობების თანამშრომლები და კიდევ ერთი და ძალიან მნიშვნელოვანი – ამ საკითხს ჯერ კიდევ „კრიშავს“ ე.წ. „შავი სამყარო“.

— იქნებ დააკონკრეტოთ, ვის გულისხმობთ, ვისზეა საუბარი?

– ეს არ არის ჩემი კომპეტენცია, მე ვასახელებ ოთხ კატეგორიას, რომელიც ამ ბიზნესს იყენებს თავისი შემოსავლის წყაროდ. ისინი არიან კორუმპირებულები, მათზე უნდა იმუშაოს სამართალდამცავმა უწყებებმა და თავად გვითხრან, ვინ არიან ის ადამიანები, რომლებიც ამ ბიზნესით არიან დაინტერესებული. მე ამას არ ვსაუბრობ უსაფუძვლოდ, ამის დამადასტურებელი ვიდეომასალები, ფაქტები მაქვს. მოვუწოდებ შს სამინისტროს – დაინტერესდეს ამ საკითხით, შეისწავლონ. როგორც დიდუბის მაგალითზე მოხდა, რომელსაც მათი მხრიდან მოჰყვა რეაგირება, მსგავსი მაგალითი გვაქვს ვაკის შემთხვევაშიც, რომელიც შეგვიძლია, ფაქტობრივი მტკიცებულებებით მივაწოდოთ.

— რატომ არ მიმართეთ ამ დრომდე შს სამინისტროს ამ ფაქტით?

– ჩვენ გვქონდა მიმართვა, ფაქტებით ვესაუბრებოდით, მაგრამ ეს არ იყო მათთვის საინტერესო. აპელირებენ იმაზე, რომ ეს არის თავისუფალი სეგმენტი და ვერ შეეხებოდნენ.

— რა არის ამ პრობლემიდან გამოსავალი, როგორ უნდა დარეგულირდეს ეს საკითხი? მით უმეტეს, ეს „სტაიანშიკები“, მანქანას თუ რამე დაუზიანდა, პასუხს არ გაებენ...

– ჩვენ ახლო წარსულში გვქონდა პროექტი, რომლითაც მივმართეთ ქალაქის მერიას, რომლის თანახმადაც შესაძლებელი იქნებოდა, აბსოლუტურად უმტკივნეულოდ დარეგულირებულიყო ეს პრობლემა. სამწუხაროდ, ეს არავინ გაითვალისწინა, არავინ არ განიხილა და დარჩა ასე, რეაგირების გარეშე. სასაუბროდაც კი არ დაგვითმეს დრო.

— რა პროექტი იყო, რა უნდა გაკეთებულიყო?

– ჩვენი პროექტით, ვინაიდან „სტაიანშიკი“ იღებს თანხას, მაგრამ უარს აცხადებს იმ პასუხისმგებლობის აღებაზე, რომელიც გულისხმობს ავტომანქანის დაცვას, პირველ რიგში, უნდა მომხდარიყო ამ ე.წ. „სტაიანშიკების“ იდენტიფიცირება, უნდა შექმნილიყო ბაზა, რომელსაც ყველა დაინტერესებული ჯგუფი დაექვემდებარებოდა. შესაძლებელი იქნებოდა, გარკვეულიყო – რომელ კვადრატში, რა მისამართზე რა მანქანა და რა სახით დაზიანდა. იდენტიფიცირებული იქნებოდა ყველა დეტალი, „სტაიანშიკი“ და გვეცოდინებოდა, ვისთვის მოგვეთხოვა პასუხი. თბილისის მერია ამ შეთავაზებაზე არ წამოვიდა, ვინაიდან, იციან, რომ ამით ვიღაცების ბიზნესინტერესებს შელახავენ, ამიტომ, დღემდე აგრძელებენ ეს „სტაიანშიკებიც“ თავის ჭკუაზე თარეშს. გამოვიდეს დავით ნარმანია და გვითხრას – კარგი, „სითი პარკს“ კაბალური ხელშეკრულება აქვს დადებული და შეძლო მთელი თბილისის ოკუპირება, მაგრამ ვინ მფარველობს, ვინ პატრონობს ამ „სტაიანშიკებს“ და რატომაა ასეთი მოუშორებელი ჭირი? გაგვაგებინონ, ვისთან და რა სახის ხელშეკრულება აქვთ დადებული? რატომ გვიმატებს „სითი პარკზე“ ამ „სტაიანშიკებს“, რომლებიც ჩვენზე, დღისით, მზისით ახორციელებენ ჩვეულებრივ რეკეტს? აგვიხსნას, რა დავაშავეთ ისეთი, რომ „სითი პარკზე“ „სტაიანშიკებიც“ დაგვიმატა?

ამ კითხვით, მერიის პრესსამსახურს დავუკავშირდით, რომელმაც ამავე უწყების ტრანსპორტის საქალაქო სამსახურთან გადაგვამისამართა. საქალაქო სამსახური საკითხის საქმის კურსში ჩავაყენეთ, დაგვპირდნენ რომ ჩვენს კითხვას უპასუხებდნენ, თუმცა, როგორც ამ უწყებას სჩვევია, თითქმის ნახევარდღიანი ლოდინის მიუხედავად, პასუხი ვერ მივიღეთ. დღის ბოლოს კი, ტრანსპორტის საქალაქო სამსახურში ჩვენს სატელეფონო ზარსაც აღარ უპასუხეს.

გერმანიის პარლამენტმა სომეხთა გენოციდის შესახებ რეზოლუცია მიიღო

გერმანიის ბუნდესტაგის ქვედა პალატამ სომეხთა გენოციდის შესახებ რეზოლუცია მიიღო.

„დოიჩე ველეს“ ინფორმაციით, პარლამენტმა დაამტკიცა დოკუმენტი, რომელიც 1915-1916 წლებში ოსმალეთის იმპერიის დროს სომხების მასობრივი მკვლელობა გენოციდად აღიარა.

როგორც გერმანული გამოცემა „დოიჩე ველე“ წერს, დეპუტატებმა რეზოლუცია თურქეთის მხრიდან ძლიერი პოლიტიკური ზეწოლის მიუხედავად მიიღეს.

ვრცელდება ინფორმაცია, რომ თურქეთმა გერმანიიდან ელჩი გაიწვია. (ნოუპოსტი)

„პრემიერის ადგილზე მაგ მაჯლაჯუნას უფრო სერიოზულად მოვთხოვდი პასუხს“ - მეჭიაური გვარამიაზე

პარლამენტის დეპუტატი თამაზ მეჭიაური პრემიერის მხრიდან ნიკა გვარამიას მისამართით გაკეთებულ განცხადებას ეთანხმება და აცხადებს, რომ გიორგი კვირიკაშვილს შეეძლო უფრო მკვეთრი განცხადებაც გაეკეთებინა. მეჭიაურის თქმით, ადამიანებს შეურაცხყოფას თავად გვარამია აყენებს:

– მე პრემიერის გამოსვლას ვეთანხმები. ალბათ, ადრე უნდა გაეკეთებინა ეს განცხადება, უფრო მკვეთრ ფორმაშიც შეიძლებოდა, მაგრამ ალბათ, შეეშინდა, რომ როგორც მე, ისიც არ მოხვდეს ჰომოფობებისა და სხვადასხვა კრებულებში და გამომდინარე აქედან, ბოლომდე არ მისცა ის შეფასება, რასაც გვარამია იმსახურებს. როდესაც ამ მედიასაშუალების ე.წ. ხელმძღვანელი არის პირდაპირ დანიშნული პროკურატურიდან წინა ხელისუფლების დროს, თავის დროზე არ მოხდა მისი დასჯა იმ ქმედებების გამო, რაც მას აქვს ჩადენილი, ტელევიზიების დარბევაზე და სხვადასხვა პიროვნებისთვის ბრალის წაყენებაზე, რომლებთანაც ზოგიერთთან ახლა მეგობრული ურთიერთობაც კი აქვს, თავის დროზე კი სამშობლოს ღალატისთვის წაუყენა ბრალი. როცა არ დასაჯეს, გათავხედდა და უკვე კი არ აკრიტიკებს, შეურაცხოფას აყენებს პიროვნებებს. მე პრემიერის ადგილზე ბოდიში და მაგ მაჯლაჯუნას უფრო სერიოზულად მოვთხოვდი პასუხს, - განაცხადა თამაზ მეჭიაურმა. (ნოუპოსტი)

„სამწუხაროდ, სანამ ივანიშვილი ასრულებს მნიშვნელოვან როლს ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში, ჩვენი ეთერი მისთვის ღია რჩება“ - ჩერგოლეიშვილი

„რუსთავი 2“-ის მსგავსად, „ტაბულაც“ მზად არის ყოფილი პრემიერ-მინისტრის შეთავაზება მიიღოს და მას საეთერო დრო დაუთმოს.

როგორც „ტაბულას“ გენერალურმა დირექტორმა თამარ ჩერგოლეიშვილმა განაცხადა, ბიძინა ივანიშვილისთვის მათი ეთერი ღია იმ მომენტიდან არის, რაც ეს უკანასკნელი პოლიტიკაში გამოჩნდა.

– ბიძინა ივანიშვილისთვის ჩვენი ეთერი ღიაა დღიდან მისი პოლიტიკიაში გამოჩენისა. ამის შესხებ ჩვენ საჯაროდ არაერთხელ გვითქვამს. ბუნებრივია, მანამ სანამ ის, სამწუხაროდ, ასრულებს მნიშვნელოვან როლს საქართველოს პოლიტიკურ ცხოვრებაში და საქართველოს მომავლის განსაზღვრაში, ჩვენი ეთერი მისთვის ღია რჩება, - აღნიშნა ჩერგოლეიშვილმა. (ნიუპოსტი)

თურქეთის პრემიერი: ბუნდესტაგის გადაწყვეტილება არასწორია, ჩვენი ერი ამაყობს თავისი წარსულით

თურქეთმა საკუთარი ელჩი გერმანიიდან კონსულტაციებისთვის გაიწვია. როგორც თურქული მედია წერს, ამის შესახებ თურქეთის პრემიერ-მინისტრმა ბინალი ილდირიმმა განაცხადა.

– ელჩი კონსულტაციების გამართვის მიზნით გავიწვიეთ. ბუნებრივია, მას შემდეგ, რაც რეზოლუციის ტექსტს გავეცნობით, შესაბამის ზომებს მივიღებთ. ჩვენი ერი არასდროს ემორჩილებოდა არავის ბრძანებებს, - განაცხადა პრემიერმა.

მან გერმანიის ბუნდესტაგის მიერ სომეხთა გენოციდის შესახებ რეზოლუციის მიღება დაგმო.

– ეს არასწორი გადაწყვეტილებაა. თურქი ხალხის წარსული ყველასთვის ცნობილია. ჩვენი ერი ამაყობს თავისი წარსულით, - განაცხადა თურქეთის პრემიერ-მინისტრმა. (ინტერპრესნიუსი)

საგადასახადო კოდექსის ცვლილებები ძალაში შევიდა

ძალაში შევიდა საქართველოს საგადასახადო კოდექსში ცვლილებების შესახებ კანონი, რომელიც მოგების გადასახადის რეფორმასა და საგადასახადო ადმინისტრირების გამარტივების მიმართულებით დაგეგმილ ღონისძიებებს ითვალისწინებს.

ინფორმაციას ამის შესახებ საქართველოს ფინანსთა სამინისტრო ავრცელებს.

„ცვლილებების თანახმად, საგადასახადო დავის პერიოდში საბანკო ანგარიშზე ყადაღის დადება მოხდება მხოლოდ სასამართლოს გადაწყვეტილებით; დღგ-ით დასაბეგრ ოპერაციებში გამოსაყენებელი ძირითადი საშუალებების იმპორტი განთავისუფლდება დღგ-ს თანხის გადახდისაგან; მოხდება 100 000-მდე გადამხდელისთვის უიმედო საგადასახადო დავალიანებების ჩამოწერა - 2011 წლამდე დარიცხული საგადასახადო დავალიანებების და 2013 წლამდე დარიცხული საგადასახადო სანქციების ჩამოწერა ძირითადი თანხის გადახდის პირობით; საგადასახადო კონტროლს განახორციელებს მხოლოდ საგადასახადო ორგანო, - ნათქვამია ფინანსთა სამინისტროს მიერ გავრცელებულ განცხადებაში.

რაც შეეხება მოგების გადასახადის ამოქმედების საკითხს - ბიზნესთან შეთანხმებით, კანონის საფუძველზე, მოგების გადასახადის რეფორმა ძალაში 2017 წლის 1-ლი იანვრიდან შევა. (bpn.ge)

ნეტა არ მოგბეზრდათ ეს „შპილკაობა“ ამხელა ფილარმონია ხალხს?!

– ალბათ, პრეზიდენტმა იფიქრა, რომ რაღაც ორიგინალური უნდა ეთქვა და ეს ტერმინი გაიხსენა, თორემ შეეძლო უფრო მარტივად აეხსნა, რას გულისხმობს, - ამის შესახებ საპარლამენტო უმრავლესობის წევრმა ნუკრი ქანთარიამ განაცხადა. დეპუტატისთვის გაუგებარია, რას იგულისხმა პრეზიდენტმა, როცა თქვა, რომ მმართველ კოალიციაში არის გარკვეული „მოძველბიჭო დაჯგუფება".

– არ ვიცი, რა ეჩვენება ბატონ პრეზიდენტს, ან რა მოეჩვენა, რომელი მანერების ან გარკვეული მიხვრა-მოხვრის ხალხი აღმოაჩინა „ქართულ ოცნებაში", ნამდვილად ვერ გეტვით. თუ ის გულისხმობს, რომ შეურაცხყოფაზე მკვეთრი პასუხი გასცა ზოგიერთმა და ის ამას არქმევს „ძველ ბიჭებს“ თუ „კაი ბიჭებს“ თუ „მოძველბიჭო ელემენტებს“, ეს მას უნდა ვკითხოთ. ალბათ, პრეზიდენტმა იფიქრა, რომ რაღაც ორიგინალური უნდა ეთქვა და ეს ტერმინი გაიხსენა, თორემ შეეძლო უფრო მარტივად აეხსნა, რას გულისხმობს, - განაცხდა ნუკრი ქანტარიამ.

შეგახსენებთ, პრეზიდენტმა კორცხელის ინციდენტზე საუბრისას განაცხადა, რომ მას უჩნდება ეჭვი, რომ „მმართველ კოალიციაში არის გარკვეული მოძველბიჭო დაჯგუფება, რომელიც ასე უყურებს ამ პროცესებს“. (news.ge)

მოსამართლე გუჯაბიძის სკანდალზე „რუსთავი 2“-მა ახალი დოკუმენტი მოიპოვა

„რუსთავი 2“-ის გენერალური დირექტორი ნიკა გვარამია მოსამართლე ნათია გუჯაბიძის სკანდალთან დაკავშირებით დამატებით დოკუმენტაციას ასაჯაროვებს, საიდანაც ირკვევა, რომ გუჯაბიძეს იუსტიციის საბჭო ბინის ფულს 2011 წლიდან 2015 წლის ივლისამდე უხდიდა. თანხის გადახდის შესახებ გადაწყვეტილებას ხელს ლევან მურუსიძე აწერს. ნიკა გვარამია ინტერესდება რა მიზეზით შეუწყდა დაფინანსება ნათია გუჯაბიძეს, თუ იუსტიციის საბჭოს მის საქმიანობაში გადაცდომა არ დაუფიქსირებია.

– იუსტიციის საბჭომ კოლექტიური დანაშაული ჩაიდინა. ჩვენ ზუსტი ინფორმაცია გვაქვს საბჭოს წევრისგან, რომ სადისციპლინო ბარათი არსებობდა. მოვუწოდებთ პროკურატურას, გამოიძიოს, რადგან მძიმე ეჭვის ქვეშ დაიყენა თავი იუსიტიციის საბჭომ. მე ხელთ მაქვს დოკუმენტები, რომლის თანახმადაც ნათი გუჯაბიძე ქირაობდა ბინას საკუთარი თავისგან 550 ლარად, რაც ჯამში 33 ათასი ლარია და 2015 წლიდან ეს შეუწყდა. მე ვსვამ კითხვას, არავითარი საკუთრება ამ პერიოდში მას არ გასჩენია. თუ ეს ასე არ არის, მაშინ რის საფუძველზე შუეწყვიტა იუსტიციის საბჭომ გადახდა, როელიც მას კანონით ეკუთვნოდა, ვითომ უბინაო ნათია გუჯაბიძეს, თუ მას ბინა არ გააჩნდა, - აცხადებს ნიკა გვარამია. (ნიუპოსტი)

ჰო, რა გენაღვლება, რო?!

საქართველოში აშშ-ის ელჩი იან კელი სოფელ კორცხელში შუალედური არჩევნების დროს მომხდარი დაპირისპირებაში მონაწილე 6 პირის მიმართ შსს-ს მიერ ბრალის წარდგენის ფაქტი აფასებს და აცხადებს:

– ჩვენ თავიდანვე მოვუწოდებდით შესაბამის სტრუქტურებსა და მთავრობას, რომ გამოძიება ბოლომდე ყოფილიყო მიყვანილი და ის ძალადობა, რომელიც პოლიტიკის სახელით იყო წარმართული დასაგმობი იყო.

ჩვენ თავიდანვე მოვუწოდებდით, რომ სამართლის წინაშე წარდგენილი იყვნენ ისინი, ვინც ამაზე პასუხისმგებელი იყვნენ. მოხარული ვართ, რომ გარკვეული პერიოდის შემდეგ, როდესაც გამოძიება დასრულდა, ბრალის წარდგენა მოხდა, - განაცხადა კელიმ. (ipress.ge)

● **და სად არის თქვენი ჰუმანურობა, პატივცემულო ელჩო — ასე უნდა საუბრობდეს ზედემოკრატიული სახელმწიფოს შვილი? ის მაინც არ უნდა გეთქვათ, რომ ახალგაზრდები ციხისთვის კი ცოდოები არიან, მაგრამ რას ვიზამთ, რადგან დანაშაული ჩაიდინეს, სხვა გამოსავალი არ არის და პასუხი უნდა აგონო.**

კორცხელის ინციდენტზე ბრალდებულების ადვოკატი: ამ ადამიანებმა აღიარეს ცემის ფაქტი

კორცხელის ინციდენტზე ბრალდებული პირების ადვკატი შსს-ში მისი დაცვის ქვეშ მყოფებისთვის ბრალის წარდგენას ესწრებოდა. ზურაბ ბელთაძის ინფორმაციით, ბრალის წაყენების შემდეგ მოხდა ამ პირების ბრალდებულის სტატუსით გამოკითხვა. ადვოკატის განცხადებით, სპორტსმენები ცემის ფაქტს აღიარებენ.

– ჩემი დაცვის ქვეშ მყოფებზე მაქვს კონკრეტულად საუბარი, გეგეშიძესა და ტყეშელაშვილზე. დაბარებული ჰყავდათ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროში. მოხდა ბრალდებების წაყენება. გეგეშიძეს ბრალად წაუყენეს 239-ე მუხლის მესამე ნაწილი, ეს გახლავთ 4-დან 7 წლამდე - ხულიგნობა, ხოლო ტყეშელაშვილს ბრალად წაუყენეს ხულიგნობა ჯგუფურად, მეორე ნაწილი, რომელიც 2-დან 5 წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

ბრალდების წაყენების შემდგომ მოხდა უკვე ბრალდებულის სტატუსით ამ პირთა გამოკითხვა. მათ ისაუბრეს და აღიარეს ცემის ფაქტი. მოხდა ბრალის წაყენება სხვა პირებზეც, ამ ადამიანებმაც ცემის ფაქტზე ისაუბრეს და ცემის ფაქტთან დაკავშირებით აღიარეს და დაადასტურეს, - განაცხადა ადვოკატმა. (news.ge)

„გამოძიება ვერ იქნება სრულყოფილი მანამდე, სანამ კახა კალაძეს არ დაკითხავენ“

„ნაციონალური მოძრაობა" კორცხელის დაპირისპირების ნიადაგზე ბრალდებული პირების საქმეს ეხმაურება და ინციდენტის დამკვეთის დასჯას მოითხოვს.

– საზოგადოებას ინფორმაცია იმის თაობაზე უკვე მივაწოდეთ, რომ მოძალადეთა ეს ჯგუფი, რომელმაც წინასწარ დაგეგმა ენმ-ს ლიდერებზე თავდასხმა კორცხლში, წინასწარ მომზადებულები არიან. ჯგუფი ვიცე-პრემიერ კალაძის ხელმძღვანელობით სწორედ ამგვარი საქმეებისთვის ემზადება. ამიტომ გამოძიება ვერ იქნება სრულყოფილი მანამდე, სანამ ვიცე-პრემიერ კახა კალაძეს არ დაკითხავენ, - აცხადებს ოთო კახიძე. (პირველი რადიო)

ერთი თვის განმავლობაში ქვეწარმავლებთან დაკავშირებით 250-ზე მეტი გამოძახება დაფიქსირდა

ტემპერატურის მატებასთან ერთად ქვეწარმავლებთან დაკავშირებით შეტყობინებებმა იმატა. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ცხოველთა მონიტორინგის სააგენტოში ბოლო ერთი თვის განმავლობაში 250-ზე მეტი შეტყობინება შევიდა.

ცხოველთა მონიტორინგის სააგენტო მიმართავს მოსახლეობას, ქვეწარმავლის დაფიქსირების შემთხვევაში, თავი შეიკავონ თვითნებური ქმედებებისგან და 112-ზე დარეკონ.

– სააგენტოს სპეციალური მობილური ჯგუფები ოპერატიულად გამოცხადდებიან შემთხვევის ადგილზე და მოქალაქეებს კვალიფიციურ დახმარებას აღმოუჩენენ. სააგენტო შემოსულ შეტყობინებებზე რეაგირებს 24 საათის განმავლობაში, — აცხადებენ სააგენტოში. (kvira.ge)

ეუთო საქართველოში დაგეგმილ საპარლამენტო არჩევნების საკითხზე ანგარიშს აქვეყნებს

ეუთო საქართველოში დაგეგმილ საპარლამენტო არჩევნების საკითხზე ანგარიშს აქვეყნებს. ორგანიზაციის ოფიციალურ ვებგვერდზე გამოქვეყნებულ ანგარიშში ნათქვამია, რომ საქართველოს ხელისუფლების მოწვევით, აპრილის ბოლოს ქვეყანაში იმყოფებოდნენ ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ოფისის საჭიროების შემფასებელი მისიის წარმომადგენლები, რომლებმაც წინასაარჩევნო მდგომარეობა შეისწავლეს, გამართეს შეხვედრა და მოამზადეს დასკვნა საპარლამენტო არჩევნებში ეუთოს მხრიდან მონიტორინგის საკითხზე.

– საჭიროების შემფასებელი მისიის წარმომადგენელთა საქართველოში ვიზიტის დროს, შეხვედრებზე გამოითქვა განსაკუთრებული შეშფოთება წინასაარჩენო კამპანიის ჩატარების გამო, განსაკუთრებით კი იმის გამო, რომ კონკურენტ ძალებსა და ამომრჩეველზე შესაძლოა, განხორციელდეს ზეწოლა, ასევე ადმინისტრაციული რესურსების ბოროტად გამოყენების პოტენციური რისკის გამო, - აღნიშნულია ანგარიშში.

საჭიროების შემფასებელი მისიის წარმომადგენლები ეუთოს, საქართველოში საპარლამენტო არჩევნების მონიტორინგის მიზნით, „არჩევნების სადამკვირვებლო მისიის" გაგზავნას ურჩევენ. (kvira.ge)

სამუშაო ჯგუფის მიერ წამების შესახებ მომზადებული ანგარიში პროკურატურას გადაეგზავნება

არლამენტის ადამიანის უფლებათა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტთან არსებული სამუშაო ჯგუფის მიერ წამებისა და არაადამიანური მოპყრობის წარსულის პრაქტიკის ანალიზი შემდგომი რეაგირებისთვის საქართველოს მთავარ პროკურატურას გადაეგზავნება.

როგორც პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტის თავმჯდომარე ეკა ბესელიამ განაცხადა, ანგარიში 2 წლის განმავლობაში მზადდებოდა.

– გაეროს ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტმა 2014 წელს საქართველოს მისცა რეკომენდაცია, რომ მძიმე დანაშაულები, როგორიც არის წამება და არაადამიანური მოპყრობა, ყოფილიყო გამოძიებული და მომხდარიყო მათზე რეაგირება. ჩვენ დავიწყეთ შესწავლა, დავეყრდენით სხვადასხვა კვლევას, ასევე, სახალხო დამცველის ანგარიშებს და გაირკვა, რომ წამებასა და არაადამიანურ მოპყრობას სისტემური ხასიათი ჰქონდა და ამ პროცესში ჩართული იყო ყველა უწყება, რომელსაც უშუალოდ ევალებოდა ადამიანის უფლებების დაცვა, — განაცხადა ეკა ბესელიამ.

მისივე თქმით, დასკვნა საკმაოდ მძიმეა, თუმცა ის ეხება არა მხოლოდ წარსულს, არამედ მასში მოცემულია რეკომენდაციები, როგორი უნდა იყოს მომდევნო ნაბიჯები.

ბესელიას თქმით, ანგარიშის შედგენისას შეისწავლეს 6000-ზე მეტი განცხადება, ასევე, 1 200 ყოფილი და ამჟამინდელი პატიმრის საქმე.

მისივე განმარტებით, წამებას ადგილი ჰქონდა ყველგან და არც ერთი ინსტიტუცია საკუთარ მოვალეობას არ ასრულებდა.

„ამან ძალიან მძიმე შედეგები მოიტანა. გარდაცვლილია ძალიან ბევრი ადამიანი, გვყავს ასევე ძალიან ბევრი ხეიბარი და დასნეულებული ადამიანი, — განაცხადა ბესელიამ. (kvira.ge)

● 2 წელი საპარლამენტო კომიტეტმა მოანდომა წამების ფაქტები რომ შეესწავლა, არანაკლები დრო დასჭირდება პროკურატურას და ამასობაში ვირი ხეზე ავა, დიდად პატივცემულო „ოცნება", აბაა?!

„ის, რაც ხდება სასამართლოში, არის საშიში და საფრთხის შემცველი სახელმწიფოსთვის"

გუბაზ სანიკიძის განცხადებას, სადაც ის ბიძინა ივანიშვილსა და მიერ მიერ რამდენიმე დღის წინ გამოქვეყნებულ ღია წერილს აკრიტიკებს, ანი მიროტაძე ეხმაურება. „ეროვნული ფორუმის" წევრი აცხადებს, რომ დემოკრატიულ საზოგადოებაში განსხვავებული მოსაზრებების გამოთქმის უფლება ყველას აქვს და უმრავლესობის წევრებს ურჩევს, მოუსმინონ გუბაზ სანიკიძის რჩევებს, განსაკუთრებთ იმ ნაწილში, რაც არაფორმალურ მმართველობას ეხება.

– გუბაზ სანიკიძემ თქვა ის, რასაც ფიქრობდა და თუ ამაზე დაფიქრდებიან და თუ კარგად გაიაზრებენ ამას მინიმუმ არაფორმალური მმართველობის საფრთხეს აიცილებენ თავიდან, თუ ეს ასე არ არის. ვსაუბრობთ არა იმიტომ, რომ პოზა გვქონდეს ოპოზიციონერის, არამედ მიგვაჩნია, რომ ის პოზიცია არის რეალური, ის პოზიცია არის მართალი და ისეთი პოზიციით გვინდა მიდიოდეს პოლიტიკური პროცესები. მაგალითისთვის გეტყვით, ის რაც ხდება დღეს სასამართლოში, არის საშიში და საფრთხის შემცველი სახელმწიფოსთვის, - განაცხადა ანი მიროტაძემ. (პირველი რადიო)

● არა, როგორ მხოლოდ მაშინ ხდება ყველაფერი საშიში და საგანგაშო, როცა ესა თუ ის პარტია კოალიციას დატოვებს ხოლმე?! აქამდე სად იყავით, თქვე კაი ხალხო, თუ ასეთი პრობლემები არსებობდა ქვეყანაში?! გუბაზ სანიკიძის მოსმენას რაც შეეხება — მოსასმენი რაც იყო, თავის დროზე უკვე კარგად მოუსმინა ყველამ — აი, მილიონის შოვნა რომ უნდოდა, გახსოვთ?

ნაჭყებია: სათანადო დოკუმენტები წარმოადგინონ და გააჩერონ ნიკა გვარამია

„ახალი მემარჯვენეების" პოლიტიკურ მდივან მანანა ნაჭყებიას განცხადებით, „რუსთავი 2"-ის საქმის მოსამართლე ნათია გუჯაბიძემ ყველაფერი უნდა გააკეთოს, რათა ნიკა გვარამიას ბრალდებაზე პასუხი გასცეს. ნაჭყებიას განმარტებით, მოსამართლე ნათია გუჯაბიძეს „რუსთავი 2"-ის საქმე უნდა აეცილებინა, რადგან მას მორალური უფლება არ ჰქონდა, პროცესში კოლეგიის ერთ-ერთი წევრი ყოფილიყო.

– ნათია გუჯაბიძემ და იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ ყველაფერი უნდა გააკეთონ იმისთვის, რათა საზოგადოება დაარწმუნონ, რომ ეს ასე არ იყო. ჩვენ ვნახეთ სიუჟეტი, სადაც გუჯაბიძის დედამ განაცხადა, რომ ის მართლაც იღებდა გარკვეულ ანაზღაურებას და ბინა ჰქონდა გაქირავებული სახელმწიფო უწყებაზე. მათ შეუძლიათ სათანადო დოკუმენტები წარმოადგინონ და გააჩერონ ნიკა გვარამია. ჩემთვის, ძალიან გასაკვირია, რომ „რუსთავი 2"-ის საქმის კოლეგიამ არ მისცა თავის თავს აცილება, პირველ რიგში, ნათია გუჯაბიძემ. ნათია გუჯაბიძე არის იმ მოსამართლეთა ერთობის წევრი, რომლის თავმჯდომარე იყო ურთმელიძე, რომელმაც თავის მხრივ „რუსთავი 2"-ის საქმეზე, პირველი ინსტანციის სასამართლოზე განაჩენი გამოიტანა, - აღნიშნა ნაჭყებიამ. (pia.ge)

ახალსოფლის მთებში მწყემსმა გარდაცვლილი მამაკაცის ცხედარს მიაკვლია

სოფლიდან დაახლოებით 40 მეტრში, ცხედართან ერთად, ზურგჩანთა და იარაღია ნაპოვნი.

ადგილზე სამძებრო-სამაშველო სამუშაოები მიმდინარეობს, რომელშიც ადგილობრივებიც არიან ჩართულნი.

შეგახსენებთ, რომ გასული წლის დეკემბერში სწორედ ამ ტერიტორიიდან გაუჩინარდა ლაგოდეხის ორი და ახალსოფლის ერთი მკვიდრი მონადირე, რომელთა ადგილსამყოფელი ამ დრომდე უცნობია. დაკარგული ახალგაზრდები, მათი ოჯახების ვერსიით, დაღესტნის ტერიტორიაზე დააკავეს. თუმცა, შინაგან საქმეთა სამინისტროში ეს ინფორმაცია არ დაადასტურეს. (pia.ge)

თვის ბოლომდე ლარი 1,90-დან 1,95-მდე დასტაბილურდება- მიხეილ დუნდუა

ეკონომიკის ექსპერტი მიხეილ დუნდუა აცხადებს, რომ კობა გვენეტაძის ეროვნული ბანკის დირექტორად დანიშვნა მყისიერად დაეტყო ლარს. მისი თქმით, გიორგი ქადაგიძის თანამდებობიდან წასვლის შემდეგ ლარი გამყარდა მსოფლიოს თითქმის ყველა ვალუტასთან მიმართებით.

– ლარი ერთ-ერთი მაჩანჩალა იყო 2016 წლის 25 თებერვლის ჩათვლით, სანამ ქადაგიძე იყო სათავეში. როგორც კი პოლიტიკური ტყვეობიდან გათავისუფლდა ლარი, მან დაიწყო ეკონომიკური მდგომარეობის ბუნებრივი ასახვა. იყო რეგიონული პრობლემები, რის გამოც ლარი აუცილებლად გაუფასურდებოდა, მაგრამ არა ისე, როგორც ეს მოხდა. დღეისათვის ლარმა დაიწყო იმ დადებითი ტენდენციების ასახვა, რომელიც ეკონომიკაში მიმდინარეობს. მას უკვე პოლიტიკურად ვერავინ უშლის ხელს. ქადაგიძე წავიდა, გვენეტაძე თავის სიმაღლეზეა, ზედამხედველობა გამოსწორდა, დარეგულირდა რეფინანსირების მაჩვენებელი და გადაიდგან სერიოზული ნაბჯები.

ვფიქრობ, თვის ბოლომდე ლარი 1,90-1,95 მიდამოებში დასტაბილურდება. ახლა გვაქვს ძალიან კარგი სურათი, რითაც გამოვირჩევით რეგიონში, - განაცხადა მიხეილ დუნდუამ. (pia.ge)

სპორტის ისტორიაში ყველაზე უხეში საფეხბურთო მატჩი

სულაც არ არის გასაკვირი, როცა უხეშობისთვის მსაჯი ფეხბურთელებს საუკეთესო შემთხვევაში, ყვითელი ბარათით „აჯილდოვებს“. რაც შეეხება წითელს, ოო, გიჟდებიან ხოლმე თავად სპორტსმენებიც და არც გულშემატკივრები რჩებიან გახარებულები, თუმცა ის, რაც 1969 წლის 3 ნოემბერს დიდ ბრიტანეთში მოხდა, სპორტის გაგების ჩარჩოებს აშკარად სცილდება.

იმ დღეს ერთმანეთს ნაკლებად ცნობილი ტონგჰემის ახალგაზრდული კლუბი „სურეი“ და „ჰაუ-ლი“ ხვდებოდნენ.

სწორედ ამ კლუბების ფეხბურთელებმა ითამაშეს სპორტის ისტორიაში ყველაზე უხეში და არადისციპლინებული ფეხბურთი. სპორტსმენები იმდენად არასპორტულად იქცეოდნენ ადგილობრივი თასის მოპოვებისთვის, რომ არბირტმა მოედნიდან... 22 ფეხბურთელი გააძევა. დიახ, წითელი ბარათი აბსოლუტურად ყველა ფეხბურთელმა მიიღო, მათ შორის, ერთ-ერთი ჰოსპიტალში მოხვდა, თუმცა ამით ყველაფერი როდი სრულდება? მთავარმა არბიტრმა გვერდითი მსაჯიც კი დასაჯა, რომელიც ერთ-ერთი გუნდის დახმარებას ცდილობდა.

blogprofootball.ru

არსებობს ხე, რომელიც იურიდიულად ფლობს საკუთარ თავს და 2,5 მეტრ მიწას

აი, თურმე, როგორ პატივს სცემენ ამერიკაში საკუთრებას, თანაც არა მხოლოდ ადამიანების, არამედ ხეებისაც კი. ყოველ შემთხვევაში, ჯორჯიას შტატში არსებობს მუხა, რომელიც საკუთარი თავისა და ასევე, მის გარშემო არსებული მიწის გარკვეული მონაკვეთის კანონიერი მფლობელია. ეს მუხა „მამა მუხის“ ვაჟი და მემკვიდრეა, რომელმაც საკუთარი თავი და მიწა საჩუქრად მიიღო. აი, როგორ მოხდა ეს ყველაფერი:

1890 წელს უილიამ ჯექსონმა, რომელიც იმ მომენტში მიწის მფლობელი იყო, გადაწყვიტა, საყვარელი ხისთვის საკუთრების უფლება დოკუმენტურად გაეფორმებინა. მუხის ხე ჯექსონს ბავშვობას აგონებდა და სწორედ ამიტომ ჰქონდა მის მიმართ განსაკუთრებული დამოკიდებულება.

უილიამ ჯექსონი სამხედრო ყოფილა, ხშირად უწევდა შორეულ ქვეყნებში გამგზავრება და სურდა, მუხას არაფერი დამართნოდა. ჰოდა, გადაწყვიტა, რომ როცა ხე საკუთარი თავის იურიდიული მფლობელი იქნებოდა, მას ხელს ვერავინ ახლებდა. ჯექსონმა იურისტი დაიქირავა და უცნაური ჩანაფიქრი განახორციელა კიდეც.

1942 წელს მუხა გახმა და წაიქცა და მის ადგილზე მისივე რკო დაითესა. რკოსგან შვილიმუხა გაიზარდა, რომელსაც მიწის ნაკვეთი როგორც კანონიერ მემკვიდრეს, ისე დაუმტკიცდა.

mainfun.ru

ამერიკელი ქალი რამდენიმე თვე მუცლით... თავის ქალას ატარებდა

არ ვიცით, ასეთი დაუჯერებელი რამ, ალბათ, კინოშიც არ გვინახავს, თუმცა ფაქტია,

ამერიკული მედია სწორედ იმაზე წერს, რომ ყოფილ „მის აიდაჰოს“, ვინმე ჯემი ჰილტონს უჩვეულო პროცედურა ჩაუტარდა. მიმდინარე წლის ივნისში ის უბედური შემთხვევის მსხვერპლი გახდა, რის გამოც, ექიმებმა თავის ქალის ნაწილი მოჰკვეთეს.

ოპერაციის დროს ქირურგებმა მას თავის ქალის 25 პროცენტი მოჰკვეთეს, რისი მიზეზიც ტვინის ძლიერი გაბერვა (თურმე, ასეც ხდება) გახდა. ტვინისთვის სხვა ადგილი იყო საჭირო, რათა ნორმალური ზომები დაბრუნებოდა. ჰოდა, ექიმებმა თავის ქალის ნაწილი პაციენტის მუცელში გადაიტანეს, რათა „ტრადიციულ ადგილზე“ დაბრუნებამდე საჭირო „კვება“ მიეღო.

ნელ-ნელა ჯემი ჰილტონს ჯანმრთელობა უბრუნდებოდა, რაშიც თავის ქალის უქონლობა ხელს დიდად არ უშლიდა.

მას შემდეგ, რაც ტვინი დაცხრა, ექიმებმა თავის ქალის ფრაგმენტი ძველ ადგილზე დააბრუნეს.

ჰილტონმა ეს ოპერაციაც გადაიტანა და ამ მანიპულაციების ერთადერთი გართულება ის აღმოჩნდა, რომ პაციენტს გემოს აღქმა შეეცვალა და ყნოსვა დაკარგა.

– კვლავ შემიძლია ვიკითხო, ვწერო, ვიარო, ვიცეკვო და შვილებზე ვიზრუნო, – ამბობს 36 წლის ამერიკელი.

infoniac.ru

მეცნიერებმა ტვინის უჯრედები... შარდისგან შექმნეს

ვისაც ერთი პოპულარული უხეში გამოთქმა უყვარს: „შენ თავში ფეხი ხომ არ გაქვსო“, მოუწევს, გადახედოს ამ არჩევანს და ამიერიდან „შენ თავში შარდი ხომ არ გაქვსო“, თქვას. რაც არ უნდა გასაკვირი იყოს, ზოგ შემთხვევაში, ამ კითხვაზე შეიძლება დადებითი პასუხიც კი იქნეს გაცემული. როგორ და რანაირად? ახლავე ყველაფერს მოგახსენებთ:

მეცნიერებმა შარდის ნეირონებად გადაქცევის ხერხს მიაგნეს.

ახალი მეთოდი ადამიანის შარდში შემავალი უჯრედების გამოყენებას გულისხმობს, რაც მათ სამომავლოდ ღეროვანი უჯრედების შესწავლაში დაეხმარება. სიახლის ავტორთა თქმით, მათი მეთოდი განსაკუთრებით ბავშვებში იქნება სასარგებლო, რადგან მათგან შარდის ანალიზის აღება ბევრად ადვილია, ვიდრე სისხლის.

ამ უცნაური და ალბათ, მნიშვნელოვანი მიღწევის ავტორები ჩინელი მეცნიერები არიან გუანჩჟოუს ბიომედიცინსა და ჯანმრთელობის ინსტიტუტიდან.

საინტერესოა, რომ წარსულში მეცნიერებმა ანალოგიური შედეგი უკვე მიიღეს სისხლისა და კანის გამოყენებით, თუმცა, მათი თქმით, შარდი ბევრად უფრო ხელმისაწვდომი წყაროა.

ჩვეულებრივ, მეცნიერები ღეროვან უჯრედებს ლაბორატორიებში 25 დღეში ღებულობენ, რისთვისაც კანის ბიოფსიასა და სისხლის ანალიზს იყენებენ. შარდისგან ღეროვანი უჯრედების მიღებას კი 12 დღე სჭირდება, ხოლო 4 კვირაში უკვე მუშა ნეირონების მიღებაც ხერხდება.

pravda.ru

მედდამ პაციენტს ვენაში შეცდომით... რძიანი ყავა შეუყვანა

ეხვეწა პაციენტი, თურმე, 1 კოვზი შაქარი უყავი მარტო, ტკბილი არ მიყვარსო, მაგრამ რად გინდა, მოუსმინა ვინმემ?!

ბრაზილიური მედიის ინფორმაციით, სამწუხაროდ, შემთხვევა ტრაგიკულად დასრულდა – საავადმყოფოში ფილტვების ანთების გამო მისული პაციენტი მას შემდეგ გარდაიცვალა, რაც ვენაში შეცდომით რძიანი ყავა შეუყვანეს.

უპატიებელი შეცდომა 23 წლის მედდამ მორეირა ტელესმა დაუშვა, რომელიც კლინიკაში პრაქტიკებს გადიოდა.

ცნობილია, რომ მორეირა ტელესს კლინიკაში პრაქტიკების მესამე დღე ჰქონდა. ექიმმა მას პაციენტისთვის საჭმლის მიცემა სთხოვა, რომელიც ავადმყოფობის გამო დამოუკიდებლად ვერ მოძრაობდა.

ექიმის თქმით, ის დარწმუნებული იყო, რომ მომავალი მედდა პროცედურისთვის ზონდს გამოიყენებდა და აზრადაც კი არ მოსვლია, რომ ტელესი პაციენტს რძიან ყავას პირდაპირ ვენაში შეუყვანდა.

ასეა თუ ისე, საცოდავ პაციენტს სისხლში რძიანი ყავის შერევისთანავე კრუნჩხვები დაწყებია, რაც ექიმებს არ გამოჰპარვიათ და ყველაფერი გააკეთეს მის გადასარჩენად, თუმცა უშედეგოდ.

მოკლედ, ერიდეთ პრაქტიკანტ მედდებს, მით უმეტეს, თუ ისინი ახალგაზრდები არიან, ხოლო თუკი ხელში ყავაც დაუნახეთ, მაშინვე პატრულს დაურეკეთ!!!

dr20.ru

ახალი კონტაქტური ლინზები ახლომხედველობას კურნავს

სტატისტიკის თანახმად, მსოფლიოში ყოველ მესამე ადამიანს ახლომხედველობა, ანუ მიოპია აწუხებს. მიუხედავად ასეთი „პოპულარობისა“, დეფექტის მკურნალობა ვერ ხერხდება, ხოლო სათვალე და კონტაქტური ლინზები მხოლოდ მხედველობის კორექტირებას ახდენენ. გარდა ამისა, სავსებით შესაძლებელია, ახლომხედველობამ პროგრესირება განიცადოს და ადამიანს სულ უფრო ძლიერი კონტაქტური ლინზები დასჭირდეს.

ახლა უკვე ამერიკელმა მეცნიერებმა დევიდ ტროილოს ხელმძღვანელობით ამ პრობლემის მოგვარება შეძლეს. კერძოდ, მათ მიოპიის მკურნალობის პოტენციური მეთოდი შეიმუშავეს, რისთვისაც კონტაქტური ლინზების გამოყენება იქნება საჭირო. ამ ლინზების გამოყენებით, ბავშვებში თვალები სწორი მიმართულებით განვითარდება.

ცნობილია, რომ ამ დროისთვის, სიახლის ავტორები კონტაქტური ლინზების კომერციულ ვერსიაზე მუშაობენ, რათა ახლომხედველ ბავშვებს პრობლემის მოგვარებაში დაეხმარონ.

medkarta.com

სინტერესო ამბები... სინტერესო ამბები... სინტერესო ამბები... სინტერესო სინტერესო

მეცნიერებმა სიყვარულის გამომწვევი ნერვი აღმოაჩინეს

მეცნიერთა საერთაშორისო ჯგუფმა ყნოსვითი ნერვი „0“ აღმოაჩინა, რომელიც მათი მტკიცებით, ადამიანებს შორის სიყვარულის გაჩენაზეა პასუხისმგებელი.

ასეთივე ნერვის არსებობა მანამდე მეცნიერებმა ვეშაპებს აღმოუჩინეს და მიაჩნდათ, რომ მსგავსი ნერვი ადამიანსაც უნდა ჰქონოდა, თუმცა მისი აღმოჩენა ნერვის ზომის სიმცირის გამო დიდხანს ვერ მოხერხდა.

ნერვ „0“-ს დაბოლოება ცხვირის ზონაში აქვს და სუნის შესახებ ტვინის იმ ნაწილს გადასცემს ინფორმაციას, რომელიც გრძნობებზეა პასუხისმგებელი. იგი ამუშავებს სექსუალური ხასიათის ინფორმაციას და იღებს სიგნალებს პოტენციური პარტნიორისგან.

ცნობილია ისიც, რომ ადამიანებს მათგან განსხვავებული სუნის მქონე პარტნიორები იზიდავთ. გამონაკლისი ამ შემთხვევაში მხოლოდ ფეხმძიმე ქალბატონები არიან, რომელთაც ისეთივე სუნის მქონე ადამიანები იზიდავთ, როგორიც მათ აქვთ, თუმცა ამ შემთხვევაში ისინი არა საყვარლებს, არამედ მონათესავე სულებს ეძებენ.

მეცნიერები იმასაც ამტკიცებენ, რომ გაუცნობიერებელ პროცესებს, რომლებიც ნერვ „0“-ში მიმდინარეობს, შეუძლია როგორც სიყვარულის გამოწვევა, ასევე გრძნობების გაცივება. წყვილებს, რომელთა სუნიც ერთმანეთის მსგავსია, ყველაზე ხშირად პრობლემები ბავშვების გაჩენისას უჩნდებათ. ხოლო იმ წყვილებს, რომელთა სუნიც ერთმანეთისგან რადიკალურად განსხვავდება ბედნიერების ბევრად მეტი შანსი აქვთ.

აღსანიშნავია ისიც, რომ ნერვი „0“ მხოლოდ ადამიანის ბუნებრივ სუნს აღიქვამს და მასზე პარფიუმერია ვერანაირ გავლენას ვერ ახდენს.

gurianews.com

სინტერესო ამბები... სინტერესო ამბები... სინტერესო ამბები... სინტერესო სინტერესო

„ფეისბუკის“ აპლიკაციის საშუალებით მომხმარებლებს უსმენენ

სამხრეთ ფლორიდის უნივერსიტეტის პროფესორმა, კელი ბერნსმა სოციალურ ქსელ „ფეისბუკის“ მობილური აპლიკაცია შეისწავლა და დაადგინა, რომ პროგრამის საშუალებით მოსმენა შესაძლებელია.

დაფარული ფუნქცია აპლიკაციაში რამდენიმე წლის წინათ გაჩნდა. „ფეისბუკში“ განმარტეს, რომ აღნიშნული ტექნოლოგია გარშემო განვითარებული ამბების შესახებ ინფორმაციის შესაკრებად გამოიგონეს. კერძოდ კი, კომპანია ანალიზს უკეთებს, რომელ ფილმს უყურებს ან რა მუსიკას უსმენს ესა თუ ის მომხმარებელი.

თუმცა პროფესორმა დაამტკიცა, რომ აპლიკაცია მომხმარებლის საუბარს ისმენს და მოგვიანებით მას სარეკლამო პოსტებისა და ამა თუ იმ მომსახურების სახით სთავაზობს. კომპანიის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ მათთვის დაუშვებელია პირადი ხასიათის ინფორმაციის გასაჯაროება ან ამა თუ იმ სახის ამბის საინფორმაციო სააგენტოებისთვის გაზიარება.

ამ დროისთვის ფუნქცია მხოლოდ აშშ-ის ტერიტორიაზე მოქმედებს და მისი გამორთვა სმარტფონშია შესაძლებელი.

daijesti.pia.ge

სინტერესო ამბები... სინტერესო ამბები... სინტერესო ამბები... სინტერესო სინტერესო სინტერესო ამბერი...

რატომ არ შეიძლება „მადლობის“ თქმა

სიტყვა „მადლობა“ სალაპარაკო ენაში ძალიან სწრაფად დამკვიდრდა. ნუ ეტყვით „მადლობას“, თუ ურთიერთობის გაგრძელება გსურთ, წინააღმდეგ შემთხვევაში ურთიერთობა დროთა განმავლობაში გაცვდება.

როგორ გამოხატოთ მადლიერება?

გაწეული სამსახურისთვის, პასუხად უთხარით – „მადლიერი ვარ“. როცა სხვას სარგებელს აძლევთ, საკუთარ ენერგიას სასიკეთო საქმის სანაცვლოდ გზავნით.

რატომ არის სასარგებლო „მადლიერი ვარ“ თქმა?

„მადლიერი ვარ“ წარმოთქმისას, ადამიანს სიკეთეს უსურვებთ, ხოლო ის, რასაც სხვებს უსურვებთ, ბუმერანგივით გიბრუნდებათ უკან. დაფიქრდით ამაზე!

როდის უნდა თქვათ „მადლობა“?

თუ ურთიერთობის გაგრძელება არ გსურთ ან ახლახან დაშორდით ადამიანს, რომლის ნახვაც აღარ გინდათ, უთხარით – „ყველაფრისთვის მადლობელი ვარ“. ასევე, სიტყვა „მადლობა“ გამოგადგებათ, თუ ვინმემ რაიმე ცუდი გაგიკეთათ.

სიტყვა „მადლობა“ და „მადლიერი ვარ“, გააზრებულად გამოიყენეთ და სიკეთეს მიიზიდავთ, თქვენი ცხოვრება უკეთესობისკენ შეიცვლება.

daijesti.pia.ge

სინტერესო ამბები... სინტერესო ამბები... სინტერესო ამბები... სინტერესო სინტერესო სინტერესო ამბები...

კიბოსა და მობილურ ტელეფონს შორის კავშირი

რუბრიკაში „გალილეო“ უახლეს, დღემდე ჩატარებულ ყველაზე მასშტაბურ კვლევას გაგაცნობთ, რომელიც მობილური ტელეფონის ხმარებასა და კიბოს შორის კავშირს შეეხება.

ამ თემას დიდი ხანია იკვლევენ და სხვადასხვა, ზოგჯერ ერთმანეთის გამომრიცხავ შედეგებს იღებენ. ჯერჯერობით მეცნიერებს ზუსტი პასუხი ისევ არ აქვთ, ამიტომ წინასწარი, მით უმეტეს ხმაურიანი დასკვნების გამოტანა ნაადრევია. თუმცა, ის შედეგი, რაც ამერიკის მთავრობის მიერ ჩატარებულმა, დღემდე ყველაზე მასშტაბურმა კვლევამ აჩვენა, სერიოზულ ყურადღებას იმსახურებს და შემდგომი კვლევების ჩატარების აუცილებლობას ადასტურებს.

მობილური ტელეფონების კომერციალიზაცია 1980-იანი წლებიდან დაიწყო. დაახლოებით 30 წლის შემდეგ ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციამ დაადგინა, რომ მობილური ტელეფონების მიერ გამოსხივებული რადიაცია **2B** ჯგუფს, ანუ ადამიანებისთვის „შესაძლო კანცეროგენულს“ მიეკუთვნება.

ამერიკის შეერთებული შტატების საკვებისა და მედიკამენტების ადმინისტრაციამ რადიაციის მავნებლობის შესწავლა ეროვნული ტოქსიკოლოგიის პროგრამას **(NTP)** დაავალა. სამეცნიერო კვლევა, რომლის შედეგები შემდეგ ჯანდაცვის ეროვნულ ინსტიტუტებში **(NIH)** განიხილეს, 26 მაისს გამოქვეყნდა.

ვირთხებზე ჩატარებულმა ორწლიანმა ექსპერიმენტმა, რომელიც ამერიკის მთავრობას დაახლოებით 25 მილიონი დოლარი დაუჯდა, ამ ტიპის რადიაციით დასხივებას და კიბოს შემთხვევებს შორის არსებული კავშირი დაადასტურა. საუბარია „მცირე რაოდენობით კიბოს შემთხვევებზე“, კონკრეტულად კი – თავის ტვინის კიბოსა და გულის სიმსივნის ინციდენტების ზრდაზე. ექსპერიმენტში 2 500 ვირთხა და თაგვი მონაწილეობდა. მათ პერიოდულად ასხივებდნენ იმ რაოდენობის რადიაციით, რომელიც მობილურ ტელეფონებში ფართოდ გამოყენებული **GSM** და **CDMA** სისტემებში 900, ან 1900 მეგაჰერც სიხშირეზე ფიქსირდება.

საინტერესოა ის ფაქტი, რომ კიბოს შემთხვევები მხოლოდ მამრ ვირთხებში გაიზარდა. მხედველობაში მისაღებია ისიც, რომ ცხოველებში დაფიქსირებული ბიოლოგიური ეფექტი ადამიანებზე ყოველთვის არ ვრცელდება. შესაბამისად, კვლევის შედეგები შემდგომ შესწავლასა და დაკვირვებას საჭიროებს.

დაბოლოს, არასაკმარისი მტკიცებულების გამო, მეცნიერები ამ ეტაპზე არ იძლევიან რეკომენდაციას მობილური ტელეფონების მოხმარების შეზღუდვის შესახებ. თუ თქვენ საკუთარი სურვილით გინდათ მისგან მცირე დოზით გამოსხივებული რადიაციის ოდნავ მაინც შეზღუდვა, ეცადეთ, უფრო ხშირად გამოიყენოთ ყურსასმენები, ან ტელეფონის მიკროფონი – მისი ხმამაღლა მოლაპარაკე ფუნქცია.

pia.ge

სინტერესო ამბები... სინტერესო ამბები... სინტერესო ამბები... სინტერესო სინტერესო სინტერესო ამბები...

გათხოვებაზე უარის თქმის გამო გოგონა ცოცხლად დაწვეს

გათხოვებაზე უარის თქმის გამო, პაკისტანში, ისლამაბადში 19 წლის გოგონა, მარია სადაგატი აწამეს და ცოცხლად დაწვეს.

„მას თავს დაესხნენ, ჯერ აწამეს და შემდეგ ცოცხლად დაწვეს. გადავიყვანეთ ისლამაბადის საავადმყოფოში, მაგრამ მიყენებული ჭრილობების შედეგად, გარდაიცვალა“, – აღნიშნა გოგონას ბიძამ აბდულ ბასიტმა.

მისი თქმით, მას შემდეგ, რაც გოგონამ გათხოვებაზე უარი განაცხადა, მას თანამზრახველებთან ერთად, იმ კერძო სკოლის დირექტორი დაესხა, სადაც მარია ადრე მუშაობდა.

ადგილობრივი პოლიციის ცნობით, ერთერთი თავდამსხმელი დაკავებულია.

pia.ge

სინტერესო ამბები... სინტერესო ამბები... სინტერესო ამბები... სინტერესო სინტერესო სინტერესო ამბერი...

რესტორანი, სადაც კვების საფასურს განარბენი კილომეტრებით იხდით

რესტორანში ვახშმობა უკვე ნაღდი ანგარიშსწორებისა და პლასტიკური ბარათის გარდა, გარბენილი კილომეტრების ხარჯზეცაა შესაძლებელი.

ეს უცნაური კამპანია სპორტულ ბრენდ **Kalenji**-ს ეკუთვნის, რომელიც ახალი სპორტული ფეხსაცმლის გამოსვლასთან დაკავშირებით ხორციელდება.

კომპანიამ ცნობილ რესტორანთან დაიწყო თანამშრომლობა, ხოლო ფეხსაცმლის ყუთებზე განათავსა ჰეშთეგი **#EatYourRun** და რესტორნის მენიუ, რომელშიც ჩამოთვლილია სხვადასხვა კერძები მათი კილომეტრული ღირებულებით. გარბენილი კილომეტრები ნებისმიერ მომხმარებელს შეუძლია დააგროვოს ფეხსაცმლის შეძენის შემდეგ და საღამოს არაჩვეულებრივ რესტორანში გემრიელად მიირთვას.

pia.ge

გვერდი მოამზადა დარინა ძაბადაძემ 593 19-85-99

ავტორი თინა ციბაძე 598 44-31-00



ვანიკენი: 1. ვენეციელი; 2. ფოლტიანა; 3. ეიკიკი; 4. სალოთეი; 5. „ქონიფიბა“; 6. ოლიფენ; 7. სიო; 8. ფალი; 9. ნეკლესეფეფლიი; 10. ოკეხიაა; 11. ოიაენიკა; 12. ქონეიხ; 13. ფეფი; 14. ფალი; 15. ბაბა; 16. ალიო; 17. კიი; 18. ალიბი; 19. ლესოალი; 20. ფიფლიენიკა; 21. ხანიბეხი; 22. ნეგ; 23. ანა; 24. ფალიალოლეკი; 25. ანიგეხკეკი; 26. აკენონ; 27. ბანეფონ; 28. ალეფი; 29. ეაკენონ; 30. კოფენ; 31. „ბაფლენეკი“; 32. ალიალეკი; 33. ფეფეკ; 34. ოკეაფეფონ; 35. ვენეკი; 36. ბალენეკ; 37. ოფეფენ; 38. „ეიენკ“; 39. ფოფალოფალი; 40. ონინ; 41. ჩანი; 42. ონიკ; 43. ანიბეხ; 44. ეენეოი; 45. ნონ; 46. თიაკენი; 47. ალალი; 48. ბაიკ; 49. ენეალიკ; 50. ალენალეკი; 51. კალონ; 52. ალალეკ; 53. ბალენ; 54. „ალეკენ“; 55. ფალეკ; 56. ენალეკ; 57. ია; 58. ბაკალეკ; 59. ბაკენი; 60. ბალენი; 61. ბაკ; 62. ონანენ; 63. ბანეფონ; 64. ალეკ; 65. ონანენ; 66. ანენეფონ; 67. ალალი; 68. ალენი; 69. ბალეკ; 70. ბალეკ; 71. ბალალეკ; 72. ალალი; 73. „ალალ“; 74. ანენენ; 75. ბალეკ; 76. კალონ; 77. ანენეფონ; 78. ბალალ; 79. ოფენ; 80. ალენ; 81. ალენეფონ; 82. ბალენეფონ; 83. ბალალ; 84. ბალალალეკ; 85. „ბალ“; 86. ბალალ; 87. ბალალალეკ; 88. ალინეფონ; 89. ბალ; 90. ბალალალეკ; 91. ბალალ; 92. ბალენ; 93. ბალენ; 94. ბალენ; 95. ბალ; 96. ალალ; 97. ონინ; 98. ბალ; 99. ალინ; 100. ბალალ; 101. ბალ; 102. ბალ; 103. ბალ; 104. ბალ; 105. ბალ; 106. ბალალ; 107. „ბალ“; 108. ბალ; 109. ბალ; 110. ბალ; 111. ბალალ; 112. ბალ; 113. ბალ; 114. ალენ; 115. ბალ; 116. ბალ; 117. ალ; 118. ბალ; 119. ბალ; 120. ალ; 121. ბალ; 122. ბალ; 123. ბალ; 124. ბალ; 125. ბალ; 126. ბალ; 127. ბალ; 128. ბალ; 129. ბალ; 130. ბალ; 131. „ბალ“; 132. ბალ; 133. ბალ; 134. ბალ; 135. ალ; 136. ბალ; 137. ბალ; 138. ბალ; 139. ბალ; 140. ბალ; 141. ბალ; 142. ბალ; 143. ბალ; 144. ბალ; 145. ბალ; 146. ბალ; 147. ალ. ბალ; 148. ბალ; 149. ბალ.

ავტორი თინა ციბაძე 598 44-31-00

1.ერთი მსახიობის ვრცელი სიტყვა
2. ხმლის ბუდე
3. ციტრუსი
4. პროვინცია ესპანეთში
5. მუსიკალური გასართობი
6. გამოუწვავი აგური
7. ყორღანი ვოლგოგრადთან
8. დასასლება ბათუმში
9.ჭავჭავაძე. „... ქვრივი“
10.მხ/ფ „ჩემი მეგობარი ...“
11. ზარის ხმა
12. ჭრილი ბანიანი საბლის ჭერში
13.რეჟისორი ... დე ბონტი
14.ალ ბანო და ... პაუერი
15. ზღვის კომბოსტო
16. მდინარე საფრანგეთში
17. შტატი აშშ-ში
18. იგავი „მგელი და ...“
19. კატის ნაშიერი
20.უძრავი ქონების შესყიდვის ფორმა
21.რით მოკლა დავითმა გოლიათი
22. ხილი
23.ტანმოვარჯიშე ... კომანეჩი
24.მხ/ფ „... გარეუბნიდან“
25. სმენის ორგანო
26.კათოლიკე მღვდელი პოლონეთ.
27. ოთხკუთხედში გავლებული ნახი
28. მსახიობი ... ტომა
29. თეკვზის ნგნიანი
30.ფილიპინების დედაქალაქი
31. შხამიანი მწერი
32. განგსტერი ... ლუჩანო
33. ექსპონატების დაფა
34.დედამიწის მიზიდულობა
35.მოჭადრაკე ქეთევან ...
36. მოდელი ... კასტა
37. მარილის ჩასაყრელი ჭურჭელი
38. ... სუხიშვილი
39. იჩქარე ...
40. გულის დაავადება
41.დარტანიანის მშობლ. მხარე
42.მომღერალი ... მელაძე
43.მომღერალი ... ბურჭულაძე
44. ... მკერდში ორი გული დევს
45.ავტ. რესპუბლიკა საქართ.
46. მხატვარი ... გრეკო
47.რეჟისორი ... ფონ ტრიერი
48. ბურღულეული
49. თანხმობის ფორმა
50. ტალანტი
51. მსახიობი ... გარდნერი
52. მხარე ფინეთთან
53. მსახიობი ... ჰეჩი
54.ნიკო ფიროსმანის სოფელი
55. დიეგო არმანდო ...
55ა. ბაბუა, ანუ ...
56. გადახრა ნორმიდან
57. მსახიობი ... ფაროუ
58.საკონდიტრო სანელებელი
59. მწერალი ლუიჯი ...
60. ჟელატინიანი ტკბილეული
61.შოტლანდიის დედაქალაქი
62. უკანონოდ მონა-დირე
63. წყალქვეშ სასუნთქი აპარატი
64. შხამიანი ხე
65.ტანსაცმლის შესანახი ავეჯი
66. უდაბნო აფრიკაში
67. მითიდან: ... თავლა
68.მხ/ფ „უკანასკნელი ...
69. ფრინველის სამფეხ-დევი
70. მორბენალი ფრინველი
71. ნაბიჯი ბალეტში
72. ქალაქი საფრანგეთში
73. დიდი სანარმო
74. ტომრის ფორმის საფულე
75. ცხიმის კვალი ქსოვილზე
76.პოლიტიკოსი ინდირა ...
77. ტელეკომკი
78. მეფე, ვახტანგ ...
79. ბოსტნეული
80. იაზონის გემი
81. ნუსხა
82 სამოსი ფიგურის კორექციისათვის
83. ხორცის საყმელი
84. შვედური ხურდა ფული
85. მსახიობი ... პაჩინო
86. რომის პაპის გვირგვინი
87. სამი თვე
88.კოსმოდრომი ყაზახეთში
89.რეჟისორი ... ლი
90. მსახიობი ... ფერაძე
91.ფულის გარკვეული ნაწილი
92. მსახიობი ... პიტი
93. ფრინველი. ვენესუელის სიმბოლო
94. ოპერა „... გიუნტი“
95. ჩეხოვი. „... ვანია“
96. მსახიობი ... ელიავა
97.სენტენციანა: ... ის, ვინც ბოლოს ...
98. მწერალი ... დე ბალზაკი
99. შხამიანი გველი
100. კიანუ რიეზი ფილმში
101. მსახიობი ... როტი
102. მსახიობი ... ტომპ-სონი
103. აივენჰოს სატრფო
104.კონცხი. სამხ. ამერიკის უკიდურესი დამხრეთი წერტილი
105.მოჭადრაკე მიხეილ ...
106. მწერალი ... დე მოპასანი
107. ისტორიის მუზა
108. იუპიტერის თანამგზავრი
109. რიცხვი 3,14
110. მსახიობი ... პარიო
111. იაპონური თეატრი
112. მდინარე ჭიათურაში
113.რეჟისორი ვერნერ ...
114. შტატი აშშ-ში
115. ... გათვთრდების ყორანი
116. ხმადაბალი ელეგრადობა



ავტორები: 1. ბოთლიკაშვილი; 2. ქარქადონი; 3. ბაღდადონი; 4. ალექსანდრია; 5. ქორაჟიანი; 6. ალოეი; 7. ბაბაი; 8. ეკატერინა; 9. თალაჯანდო; 10. ნოდარი; 11. ზუნერეკი; 12. ეროლი; 13. ალე; 14. ოთხმეხი; 15. ლაბადონია; 16. ლაბადონია; 17. ალიაგა; 18. ქონგი; 19. ყიფანი; 20. ანოთაო; 21. ბოსტანი; 22. ბაობანი; 23. ნადი; 24. ნიალი; 25. ყოფილი; 26. ქიბეთი; 27. დიალეკტი; 28. ბეთალი; 29. ოკეანე; 30. ბანდიტი; 31. ელემენტი; 32. ბანდონეონი; 33. ეროვნული; 34. ბაბალეონი; 35. ალბანეთი; 36. ლიტანია; 37. ხანგარეტი; 38. ბეთანია; 39. ალეკო; 40. ბეჭედი; 41. ბაბეკოთი; 42. ეალეთი; 43. ბაობანი; 44. ეგვიპტე; 45. ალბანელი; 46. ეალ; 47. ლაინი; 48. ბეკაროთი; 49. ეი; 50. ნიფხ; 51. ავეკ; 52. ალოლია; 53. ეგ; 54. ბოლანდია; 55. ბანგლადეში; 56. ბანგლადეში; 57. ბეკ; 58. ეანეთი; 59. ანთანეალი; 60. ბანგლადეში; 61. ლიტანია; 62. ბანგლადეში; 63. ალბანეთი; 64. ანბანი; 65. ალალი; 66. ალალეანეთ; 67. ავეკეთ; 68. ბეკბეკალი; 69. ალალი; 70. ბოლიკლეტეკი; 71. ბა; 72. ალეთი; 73. ქალბეი; 74. ეიბა; 75. ლეკი; 76. ბაეგი; 77. ბაბა; 78. ალოლბალალი; 79. ყალბალი; 80. „ალგო“; 81. ბაი; 82. ალოლბეგი; 83. ეკბალეკი; 84. ეალ; 85. ბაობანი; 86. ალალეანეთ; 87. ავეალბალი; 88. ბაეკეთეგი; 89. ეგე; 90. ბალ; 91. ალი; 92. ბალდი; 93. ავეკეანალი; 94. ბეკი; 95. ბაი; 96. ალი; 97. ანთანეი; 98. ბალალეანეთ; 99. ბალალეანეთ; 100. „ბალბალეანეთ“; 101. ბეთ; 102. ეკალ; 103. ეალ; 104. ბალალეანეთ; 105. ბალალ; 106. ბეკ; 107. ეალ; 108. ბალ; 109. ეალ; 110. ალ; 111. ნა; 112. ბალეკეთ; 113. ეკ; 114. ანეგეანეი; 115. ალ; 116. ეი. ეკალეთეანეთ: ალეკალეკ. ბაგბალალ. ალალეანეთ. ალალეანეთ.

რატომ უმოწმებენ იაპონელ სკოლის მოსწავლეებს საცვლებს?

ამომავალი მზის ქვეყანა მსოფლიოს გაოგნებას არ წყვეტს. იაპონელების ცხოვრება ჩვენი ყოფისგან ძირფესვიანად განსხვავდება.

მათი ტრადიციები და წესები ჩვენს გაოცებას იწვევს. მაგალითისთვის, ავიღოთ გართობის სფერო. საიდუმლოს არავისთვის წარმოადგენს, რომ იაპონიაში საკმაოდ გავრცელებული და განვითარებულია სექსმომსახურება. ხშირად, ეს მომსახურებები ძალიან არატრადიციულია.

როგორც აღმოჩნდა, მაღაზიებში ფეტიშისტებს შეუძლიათ, ნახმარი საცვლები შეიძინონ, რომლებზეც მფლობელის სურნელია დატოვებული.

საცვლები შეფუთულია სპეციალურ ყუთებში, რომლებზეც მეპატრონის ფოტო ახატია. ამ საცვლების ფასი რამდენიმე ათასი იენია და სპეციალურ ავტომატებშიც კი იყიდება.

მყიდველების პოპულარობით ახალგაზრდა გოგონების ქვედა საცვლები სარგებლობს. კომპანიები, რომლებიც ამ საქონელს ყიდიან, ეროტიკულ ფოტოსესიებსაც კი ატარებენ, სადაც გოგონები სასკოლო ფორმებში არიან გამოწყობილი, რათა მეტი მყიდველი მიიზიდონ.

თინეიჯერებისადმი ასეთი ინტერესის გამო, მაღალი კლასის მოსწავლეებმა გადაწყვიტეს, ფული თავად იშოვონ. ისინი თავიანთ საცვლებს შუამავლების გარეშე, თავად ყიდიან.

თუ მორალურ მხარეს დავივიწყებთ, ამგვარი ბიზნესი საკმაოდ მომგებიანია. გოგონებს შეუძლიათ, ნახმარი საცვლები იმაზე უფრო ძვირად გაყიდონ, ვიდრე ახლები ღირს.

რასაკვირველია, მორალისტები აღაშფოთა ამ ფაქტმა. ამიტომ, სკოლებში საცვლების შემოწმება დაიწყეს. იქნებ რომელიმე მოსწავლემ მოასწრო სახლიდან სკოლისკენ მიმავალ გზაზე საცვლის გახდა და გაყიდვა?

daijesti.pia.ge

ნიუ-იორკში მარტოხელა ქალებისთვის მოფერების სერვისი შეიქმნა

„პირადი გრძნობების გარეშე ერთი დღეც ნუ მაცოცხლოს ღმერთმაო“ – დაახლოებით, ამ პრინციპზე დაყრდნობით, ნიუ-იორკში პროფესიონალი მომფერებლების სერვისი შეიქმნა.

რა ხდება და ქალებს შეუძლიათ მოფერების მიზნით კაცები საათობრივად გამოიძახონ. სხვათა შორის, სერვისი ქმრიან ქალებშიც დიდი პოპულარობით სარგებლობს.

41 წლის სასკია ფრედერიკსი აღნიშნული მომსახურებით უკვე ერთი წელია, სარგებლობს, რადგანაც ქმარს თვეში რამდენჯერმე ხედავს. რა ქნას, კონექტიკუტში პატრულად მუშაობს და ალერსისთვის დრო არ რჩება.

„ჩემი ქმარი კვირაში 7 დღე, 24 საათის განმავლობაში პატრულირებს და ერთმანეთს ვერ ვხედავთ იმიტომ, რომ მე ნიუ-იორკში ვცხოვრობ. დარწმუნებული ვარ, რომ არ ეჭვიანობს, მეტიც, ერთად შევთანხმდით და შევამოწმეთ სერვისის მომსახურების ხარისხი“, – აღნიშნა ქმრის შეგნებით განებივრებულმა ცოლმა.

დღეს ნიუ-იორკში 40 პროფესიონალი მოალერსე მუშაობს და კვირაში 200 შეკვეთას მაინც იღებს. მომსახურების ფასი საათში 80 დოლარია.

anekdot-dnya.ru

მოსკოვში ორალური სექსის კურსები გაიხსნა

მოსკოვში ორალური სექსის კურსები გაიხსნა – სპეციალურ კურსებზე გოგონებს „იმ ამბის“ ტექნიკას ასწავლიან. სასწავლო კურსის ღირებულება 3500 რუსულ რუბლს შეადგენს (დაახლოებით 100 აშშ დოლარს). კურსის ათვისება, ინტენსიური ზეპირი სწავლების პირობებში, სამ საათ-ნახევარშია შესაძლებელი.

pirveliradio.ge

მოზარდმა დამთვალიერებლები აიძულა, მისი სათვალე ხელოვნების ნიმუშად აღექვათ

ახლა მოგიყვანთ ჩინებულ მაგალითს იმასთან დაკავშირებით, რას წარმოადგენს ხანდახან თანამედროვე ხელოვნება.

სან-ფრანცისკოს ერთ-ერთ თანამედროვე მუზეუმში 17 წლის ხაიატანი თავის მეგობრებთან ერთად მივიდა. მიუხედავად იმისა, რომ მთლად უკმაყოფილო არ დარჩენილა, რაღაც-რაღაცები მაინც ძალიან უაზროდ ეჩვენა.

„ნაცრისფერ ზეწარზე ცხოველის ფიტული იდო და ამით უნდა აღვფრთოვანებულიყავით. ამის შემხედვარე, ვიფიქრეთ, ნუთუ ხალხს ასეთი რამეები მართლა ხელოვნებად მიაჩნიათ?“ – გაკვირვებული კითხულობდა ხაიატანი.

რახან აგრეა, მოდი და ჩემს სათვალეს დავდებ მუზეუმში, ვნახოთ ერთი, რა რეაქცია მოჰყვებაო. გარკვეული დროის შემდეგ ბიჭმა შეამჩნია, როგორ უახლოვდებოდა ხალხი სათვალეს, ჩერდებოდა და ფოტოებსაც უღებდა.

ბიჭმაც რამდენიმე ფოტო გადაიღო და სოციალურ ქსელში სტატუსთან ერთად დადო

„სერიოზულად ჩავფიქრდი – შესაძლოა, ხალხი ფიქრობდა, რომ ეს სათვალე თანამედროვე ხელოვნებისადმი ერთგვარ ხედვას გამოხატავდა, ან ცხოვრებისადმი დამოკიდებულებას აღნიშნავდა“, – დაწერა ხაიატანმა.

სტატუსს არაერთი გამოხმაურება მოჰყვა, მათ შორის მუზეუმის დირექტორის მხრიდანაც, რომელმაც ბიჭის საქციელი იუმორად აღიქვა და მას ახალი მარსელ დიუშანომი უწოდა. მაგრამ თან დაამატა: მიუხედავად იმისა, რომ ბევრი რამ შესაძლოა, სისულელედ მიიჩნიო, მაინც ღირს თანამედროვე ხელოვნების ნიმუშების ნახვაო.

etotupo.ru

აშშ-ში ბაბუამ სკოლიდან სხვისი შვილიშვილი გამოიყვანა

აშშ-ში 65 წლის ჯოზეფ ფულერმა გადაწყვიტა, შვილიშვილი სკოლიდან გამოეყვანა. სკოლას რომ მიუახლოვდა, ბავშვების ჯგუფი დაინახა, მათ შორის, ერთ-ერთი საკუთარ შვილიშვილად ეცნო, მიუახლოვდა, ჩაეხუტა და აბა, ბაბუა გენაცვალოს, მზად ხარ გართობისა და კარგი კვებისთვისო? ფსევდოშვილიშვილმაც, რაზეა, ბაბუ, ბაასი, დავეშვითო. ჰოდა, ჩაისვა ეს ბავშვი მანქანაში და გააქანა სახლისკენ. მართალია, მანქანაში ბებიაც იჯდა, მაგრამ ბავშვს უკანმოუხედავად მიესალმა და დიდად ვერ გაარჩია, ზურგს უკან ვინ ეჯდა.

სახლში დაბრუნებულ ბებია-ბაბუას კი ხელში სხვისი შვილიშვილი შერჩათ.

„ამ პატარას წინ კბილები არ აქვს, მახსოვდა, რომ ჩემს შვილიშვილსაც ახლა ეზრდებოდა და შეცდომაშიც იმიტომ შევედი. რა თქმა უნდა, მაშინვე დავაბრუნე სკოლაში და ძალიან ვწუხვარ, რომ ასე დაუკვირვებლად მოვიქეცი“, – განაცხადა მზრუნველმა ბაბუამ.

anekdot-dnya.ge

სელმა ჰაიეკს ყოველდღე სექსი მობეზრდა

ჰოლივუდის ვარსკვლავმა სელმა ჰაიეკმა, რომელიც უკვე მრავალი წელია, მილიარდერ ფრანსუა-ანრი პინოს მეუღლეა, გადაწყვიტა, ფართო საზოგადოებისთვის თავისი ოჯახური ბედნიერების რეცეპტი გაემხილა.

სექსი ბედნიერი ქორწინების განმსაზღვრელი სულაც არაა! თუ ის ყოველდღე გექნებათ, ბოლოს მოგბეზრდებათ, აუცილებელია, ადამიანებს ერთმანეთის მიმართ გული არ გაუცივდეთ. მასთან ყოფნა ყოველთვის უნდა გაინტერესებდეთ და რომანტიკა შეინარჩუნოთ, – ამბობს მსახიობი.

ჰაიეკმა, ზოგადად, სექსუალურობაზეც ისაუბრა:

– სექსუალურობა აქვთ იმ ადამიანებს, რომლებიც არ ფიქრობენ, მათი სხეული როგორ გამოიყურება. სექსუალური თქვენი თავდაჯერებულობაა. იცეკვეთ, ისე თითქოს არავინ გიყურებთ – ეს ძალიან მარტივია, – აცხადებს ვარსკვლავი.

daijesti.pia.ge

– ერთი ეს მითხარი, გაიოზ, მეფუტკრე რატომ იკეთებს ბადეს სახეზე?

– რატომ და თაფლის ამოღების შემდეგ ფუტკრებმა რომ არ იცნონ.

*****

– ჩემს ცოლს ყელი სტკივა და ხმა წაერთვა, რა უშველის ნეტა?

– ღამის 3 საათზე მიდი სახლში მთვრალი და უცხო გოგო მიიყვანე.

– უშველის?

– რას ამბობ, ისეთი ხმა ექნება, ნახევარი ქალაქი გაიგებს.

*****

ცოლი ტელევიზორს უყურებს და თავისთვის ბუტბუტებს. ქმარი კომპიუტერს:

– კომპი, ერთი შეხედე ჩემს ცოლს, მგონი, ამდენი სერიალების ყურებისგან გააფრინა, ზის და ტელევიზორს ელაპარაკება.

*****

– იძახიან, რომ მამაკაცს ნამდვილი სექსი 50 წლის ასაკში აქვს, მართალია?

– რას გეტყვი იცი, ფული იყოს და სექსი 80 წლის რომ იქნები, მაშინაც კარგია.

*****

– შენ თუ იცი, რა განსხვავებაა გაბრაზებულ ქალსა და ავ ძაღლს შორის?

– არა, ნამდვილად არ ვიცი.

– რა არის და ტუჩის საცხი, სხვა არაფერი.

*****

ექთანი პალატაში შევიდა და მძინარე პაციენტს ანჯღრევს.

– ავადმყოფო, გაიღვიძეთ, გაიღვიძეთ-მეთქი...

ავადმყოფი შეშინებული წამოხტა.

– რა მოხდა?

– რა და ძილის წამალი გაქვთ დასლევი, მოგიტანეთ.

მოამზადა დავით ახობაძემ
დავით ახობაძის ნახატი

გვერდი მოამზადა **დარინა ძამადაძემ** 593 19-85-99

ნეკროლოგები, განცხადებები, მილოცვები

მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა 12:00-დან 18:00-მდე

ტელ.: 577 99-99-96 (032) 2-333-170; 2-21-21-80 (101);

გაზეთი „ალია“ იზიარებს თქვენს მწუხარებას

მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „ეროვნული ფორუმის“ პოლიტიკური საბჭო ღრმა მწუხარებით იწყება ბატონი გიორგი ხეჩინაშვილის დედის, ქალბატონ

ინა ხეჩინაშვილის

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

მეუღლე ვიკა ჭაჭიაშვილი, შვილები ლევან და ნათია ტრაპაიძეები ოჯახებით მწუხარებით იტყობინებიან, რომ გარდაიცვალა

ნოდარ ტრაპაიძე

პანაშვიდი: 3 ივნისს, 17 საათზე;
დაკრძალვა: 4 ივნისს, 14 საათზე;
მისამართი: ნ. რამიშვილის ქუჩა №2, II სადარბაზო, I სართული.

გაზეთი „ალია“ იზიარებს თქვენს მწუხარებას

კედრის წიწვებში მძლავრი ანტიბიოტიკი აღმოაჩინეს

ანტიბიოტიკი იმდენად მძლავრი ყოფილა, რომ იქ, სადაც ძალიან ბევრი მედიკამენტი უძლურია, კედარში აღმოჩენილი ნივთიერება სტაფილოკოკების დამარცხებას თითქმის უპრობლემოდ ახერხებს.

ამერიკელმა მეცნიერებმა მისურის უნივერსიტეტიდან კედრის წიწვებიდან ამ დრომდე უცნობი ბიოლოგიურად აქტიური 17 შენაერთი გამოყვეს, რომლებსაც სტაფილოკოკთან და ზოგადად, ბაქტერიებთან შებრძოლება შეუძლიათ. მომდევნო ნაბიჯზე მათ უკვე ისიც დაადგინეს, რომ საჭიროა კედრის წიწვებიდან მიღებული ნივთიერების, სულ რაღაც, 5 გრამი, რათა სტაფილოკოკი მთლიანად განადგურდეს.

ტესტირებების შედეგად ასევე დადგინდა, რომ კედრის წიწვებიდან მიღებული ანტიბიოტიკი ამ დროისთვის არსებული ბაქტერიების უმრავლესობას ერევა.

სავარაუდოდ, ახლად აღმოჩენილი ნივთიერების საფუძველზე, ამერიკელები ეფექტურ მედიკამენტს დაამზადებენ, რომელიც ადამიანების ჯანმრთელობისთვის ბევრი დადებითი შედეგის მომტანი გახდება.

dr20.ru

ინგლისში ბავშვებისთვის პარაცეტამოლისა და იბუპროფენის დანიშვნა აკრძალეს

იმდენად, რამდენადაც ორივე პრეპარატი საქართველოში ძალიან ფართოდ გამოიყენება, ვფიქრობთ, ნისლიან ალბიონზე მიღებული გადაწყვეტილება ბევრს დააინტერესებს.

როგორც ირკვევა, ბრიტანელი მედიკოსები კატეგორიულად ეწინააღმდეგებიან ბავშვებისთვის პარაცეტამოლისა და იბუპროფენის დანიშვნას. მათი თქმით, აღნიშნული პრეპარატები გაცილებით სახიფათოა, ვიდრე ტემპერატურის მომატება ან ციება.

ტემპერატურის მომატება იმის ნიშანია, რომ ორგანიზმი ინფექციას ებრძვის. ამდენად, მაშინვე ანტიბიოტიკებით მკურნალობის დაწყება ამ ბუნებრივ პროცესს არღვევს, რაც საერთო მდგომარეობაზე უკიდურესად ნეგატიურ გავლენას ახდენს.

გარდა ამისა, ექსპერტების მტკიცებით, არის არცთუ იშვიათი მაგალითები, როცა ბავშვებში ასთმის გაჩენის მიზეზი სწორედ პარაცეტამოლი და იბუპროფენი ხდება.

მოამზადა მიხეილ სახვაძემ

aif.ru

ჰოროსკოპი

ვირძი 21.03-21.04
3 ივნისი: დღეს წარმოსახვის უნარი გაგიძლიერდებათ. ნამდვილად ღირს საქმეების გვერდზე გადადება და ამ დღეების იდეების განხორციელებაზე ფიქრი.

ხარი 22.04-21.05
3 ივნისი: რაღაც საფრთხე დაგემუქრებათ, რომელსაც იოლად დაძლევთ, თუკი რეაგირებას დაუყოვნებლივ მოახდენთ. ლოდინი და უმოქმედობა არ გამოგადგებათ.

ტყუპები 22.05-21.06
3 ივნისი: მაქსიმალურად შეეცადეთ და ნებისყოფა მოიკრიბეთ. არავითარ შემთხვევაში არ შეეცადოთ მოვლენების დაჩქარებას, ქაოსს მიიღებთ.

ირმანი 22.06-22.07
3 ივნისი: თუ არსებულ სიტუაციაზე პასუხისმგებლობას თავად არ აიღებთ საკუთარ თავზე, ამას გაიძულებენ, თანაც მიუღებელი ფორმებით.

ლომი 23.07-22.08
3 ივნისი: მოუსვენარი იქნებით და ამან შეიძლება პრობლემა შეგიქმნათ. ყველაფერს ერთდროულად ნუ შეეჭიდებით. ერთი საქმე შეარჩიეთ და იმას მიხედეთ.

ქალწული 23.08-22.09
3 ივნისი: ძალიან მობილიზებული და შემართული იქნებით. შეიძლება ზოგიერთი ადამიანის მიმართ ძალაუფლება გაგიჩნდეთ. სიტუაციით ბოროტად არ ისარგებლოთ.

ცხენოსანი 23.09-22.10
3 ივნისი: ძალიან დიდი ალბათობით, შეიძლება დღეს თამაშის წესები შეიცვალოს. შეეცადეთ, მოვლენები აკონტროლოთ, თორემ დიდ პრობლემებს წააწყდებით.

ორიონჯალი 23.10-21.11
3 ივნისი: მძიმე დღეა მოსალოდნელი. შესაძლოა, ისეთი ჭორების გავრცელებაში დაგადანაშაულონ, რომელიც არც კი გსმენიათ. ამისთვის წინასწარ შეემზადეთ.

მშვილოლოხანი 22.11-21.12
3 ივნისი: თქვენი წარმატება იმაზე იქნება დამოკიდებული, რამდენად დროულად გაიაზრებთ არსებულ სიტუაციას. მოულოდნელობები ხელს ვერ შეგიშლით.

თხის რქა 22.12-19.01
3 ივნისი: შეეცადეთ, დღეს მარტო არ იყოთ. მარტოობა ძალიან დაგრთგუნავთ. თქვენთვის ძვირფას ადამიანს შეეხმიანეთ და ეს დღე ტკბილ მოგონებად დაგრჩებათ.

მერწყული 20.01-18.02
3 ივნისი: დიდი ალბათობით, თქვენი ძალისხმევა რაღაც შედეგამდე მიგიყვანთ. თუ შედეგი არ დაგაკმაყოფილებთ, მიზნის მისაღწევად, დრო კიდევ დაგრჩებათ.

თევზები 19.02-20.03
3 ივნისი: თუ ვინმეს მოხიბვლა გსურთ, ამისთვის შესაფერისი დროა. იმოქმედეთ, ოღონდ, საყოველთაოდ დამკვიდრებული წესები დაიცავით. შეცდომას არ გაპატიებენ.

გაზეთი „ალია“ სამუშაოდ იწვევს ჟურნალისტებს!

დამატებითი ინფორმაციისთვის დარეკეთ:

577 74 99 89

„ალიას“ რედაქტორი თამაზ ბესტავაშვილი (15 საათიდან)

მსოფლიოს რომელ ქალაქში უყვართ ყველაზე მეტად ფლირტაობა

თავის შექცევის შესანიშნავი საშუალებაა ფლირტი, მაგრამ არცთუ მცირეა ალბათობა, რომ ამ ერთი შეხედვით უწყინარ გატაცებას მუხლებზე ნაიარევების გაჩენა მოჰყვეს...

საკმაოდ მასშტაბური კვლევის შედეგად დადგინდა, რომ ფლირტი და კეკლუცობა ყველაზე მეტად საბერძნეთის ქალაქ ათენის მკვიდრებს ხიბლავთ. შესაბამისად, რეიტინგის პირველი ადგილიც სწორედ ათენს ხვდა წილად.

ქალაქების რეიტინგი, რომლებშიც ახალი ნაცნობების გაჩენა ყველაზე ადვილია, ერთ-ერთმა პოპულარულმა სოციალურმა ქსელმა შეადგინა, რომელმაც გააანალიზა ინტერნეტმომხმარებლების აქტიურობა, მათი კონტაქტები და მიზნები და ასე შემდეგ. ცნობილია ისიც, რომ საერთო ჯამში მოხდა მსოფლიოს 200-მდე ქალაქის მონაცემების შესწავლა.

აღმოჩნდა, რომ თვის მანძილზე საშუალო სტატისტიკური ათენელი 25,7 ნაცნობს იჩენს, რათა მათთან ფლირტაობა შეძლოს.

რეიტინგის მეორე ადგილი წილად მოსკოვს ხვდა, მესამეზე კი რომი დასახელდა, რომელიც დიდი ხანია, მსოფლიოს ერთ-ერთი ყველაზე რომანტიკული ქალაქის წოდების მფლობელია.

პირველ ათეულში მოხვდნენ: ელ-ქუვეითი (ქუვეითის დედაქალაქი), ბაქო, ტუნისი, კიევი, ბეირუთი, ტურინი და ბარი.

რაც არ უნდა გასაკვირი იყოს, მსოფლიოს სიყვარულისა და რომანტიზმის სიმბოლო – პარიზი, რეიტინგის მხოლოდ 50-ე ადგილს დასჯერდა.

aif.ru

მოამზადა მიხეილ სახვაძემ

– თქვენ, მამაკაცებს, ჩვენგან, ქალებისგან მხოლოდ სექსი გინდათ, ჩვენ კი მხოლოდ თქვენი ყურადღება გვჭირდება.
– ძალიან კარგი, ყურადღება, ყურადღება, ახლა იქნება სექსი.

მოამზადა დავით ახობაძემ, დავით ახობაძის ნახატი

გაზეთი „ალია“

ალია

გამოდის ოთხშაბათს, ხუთშაბათს და პარასკევს

გამომცემელი
გიორგი ბრეგვაძე

რედაქტორი: თამაზ ბესტავაშვილი
(577-74 99 89) 2212180 პირადი (112)

საინფორმაციო განყოფილების რედაქტორი –
მიხეილ სახვაძე
599 93 28 03; 2-21-21-80 (110)

ოფისმენეჯერი – ტატა ბრეგვაძე
(032) 2-333-170; 2-21-21-80 (101); 577 99-99-96

გაზეთის დისტრიბუციის მენეჯერი
ილია ჭაძვაძე (599 55-45-22)

კომპიუტერული ცენტრის დირექტორი
ლევან ბანეთიშვილი

გაზეთ „ალიაში“ გამოქვეყნებულ სტატიებზე **საავტორო ქონებრივი უფლების მფლობელია გაზეთის რედაქცია.** მესამე პირების მიერ მისი გამოყენება აკრძალულია და, შესაბამისად, მისი გამოყენების/გავრცელების შემთხვევაში ამოქმედდება კანონმდებლობით გათვალისწინებული საჯარიმო სანქციები, **„საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონის 59-ე მუხლი.**

სარეკლამო სამსახური
☎ 2-333-170
577-444-442
მიხეილ სახვაძე
221 21 80
(შიდა ნომერი 110)
E-mail: reklama@alia.ge
®-ით, D-ით, ან ◯-ით გასული მასალები დაფინანსებულია შემკვეთის მიერ და სარგებლობს რეკლამის უფლებით. სარეკლამო მასალებში მოყვანილ ფაქტებზე რედაქცია პასუხს არ აგებს.

ISSN 2298-0008
UDC (UAK) 070.4 (479.22) ა-49

რედაქციის მისამართი: ალექსიძის, I კვარტალი 80-4 ქუჩა I სართული (ალექსიძის ძველი)
☎ 2333-170; Fax: 2330-500, E-mail:
alia@alia.ge
გაზეთი დასაბეჭდად ხელმოწერილია 01.10